საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკანონობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 8 მარტი. 2016 წ. №43 (7935), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გემზეოთ და გემთვარეოთ, ჩვენო მზეთუნახავებო!

ღვთისმშობლის მონოლოგი

რატომ დამხატეთ მწვანე წალკოტში
ბაგით მღიმარით? თვალებით მშვიდით?
თქვენ ხომ არ იცით, როგორ გავრბოდი,
ნაკვალევს ცრემლით როგორა ვშლიდი,
თქვენ ხომ არ იცით, როგორ ვეწამე,
როგორ ვთრთოდი და როგორ ვტიროდი
და ჩემს სარკმლიდან შემოსულ ლანდებს
ჰქონდათ პროფილი დიდი ჰეროდის.
ვნება — ზმანება, შვილი — სიშორე,
სისხლის ცრემლებით გამოტირება.
რწმენა — სიმაღლე, გოლგოთა — ჯვარცმა...
მამაუფალმა ასე ინება.
ჰო, აღასრულა, რაც გარდუწყვიტეს,
რაც დაუწერა განგებამ ბედად,
თქვენთვის ის ღმერთის ძეა მაღალი,
მაგრამ მე მაინც დედა ვარ, დედა.
და მეც ვიტვირთე თქვენი ცოდვები,
მეც რწმენის ჯვარზე ათასჯერ მაცვეს.
ზეცის ბილიკზე დამზრალ შროშანებს
ცრემლებით რწყავდა შემკრთალი მაცნე.
სხივი, რომელიც გინათებთ გზაწვრილს,
ჯვარზე გაკრული ღმერთის წულია,
ხეებს რომ ასე აკვნესებს ღამით,
ქარი კი არა, დედის გულია.
თუ განსაცდელი ელის ქვეყანას,
დღეები სევდით თუ დაიბინდა,
გფარავდეთ ჩემი ტანჯული შვილი,
მამაუფალი და სულიწმინდა.

მაყვალა გონაშვილი

ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ქართული ინტელექტუალური განძთსაცავის უპირველეს ციტადელში — მეცნიერებათა აკადემიაში, რათა ერთხელ კიდევ დავადასტუროთ სამების საკათედრო ტაძარში ნათქვამი სიტყვა „შევკრბთ გათითოკაცებული სიკეთე, ბოროტების სიძვარულით დასამარცხებლად“

და შემდგომი განვითარება მივცეთ ზოგადქართულ დოკუმენტს „მოქმედების მანიფესტს“ — **„ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“.**

„ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“. — ეს პრაქტიკულად არის ქართველთა და საქართველოს შვილთა, ჩვენს ნამდვილ უცხოელ მეგობართა საუკუნეობრივი ოცნება, ქართული ნაციონალური იდეა — გაერთიანებული საქართველო და სამშობლოსთვის ერთსულოვნებით შეკრული ხალხი.

დღემდე ამ დოკუმენტს 15 ათასამდე ადამიანი შემოუერთდა. გასული წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს, გელათში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ კომპლექსში გაიხსნა „ქართული ერთობის დარბაზის“ კონგრესი. დღემდე კონგრესის სამი სესია ჩატარდა: თბილისში — 9 მარტს, ბათუმში — 27 მარტს, გორში — 24 ივნისს. წლის განმავლობაში აპრილიდან ოქტომბრამდე სესიები ჩატარდება საქართველოს ყველა რეგიონში, მსოფლიოს 28 ქვეყნის 50-მდე ქალაქში. სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც ისტორიულად თუ ბედის უკულმართობის გამო ცხოვრობენ საქართველოს შვილები — თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ისრაელი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია, აშშ, ჰოლანდია, ავსტრია, უკრაინა, ბელორუსია, კანადა, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მოლდოვა, რუმინეთი და სხვ.

იხ. 5 გვ.

◎ ჩვენი „მბრძანებლები“

როცა ქალს სარკე თან არა აქვს...

გენერალური შტაბის უფროსმა ქალბატონებს ქალთა დღე მიულოცა

გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ ქალ სამხედრო მოსამსახურეებსა და უწყების თანამშრომელ სხვა ქალბატონებს, სიმბოლურად, თითო ვარდი პირადად გადასცა. გენერალური შტაბის უფროსმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებული მანდილოსნების დამსახურებებზე ისაუბრა და მათ განსაკუთრებული წარმატებები უსურვა.

მსჯავრდებულ ქალებს საჩუქრები გადაეცათ

8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით, პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ზვიად მიხანაშვილი, საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 ქალთა დაწესებულების დედათა და ბავშვთა სახლს ეწვია, მსჯავრდებულ ქალებს ქალთა დღესასწაული მიულოცა და საჩუქრად წიგნები გადასცა. ასევე, საჩუქრად სეზონური ტანსაცმელი მიიღეს იქ მყოფმა 3 წლამდე ასაკის ბავშვებმა, რომლებიც დაწესებულებაში დედებთან ერთად იმყოფებიან.

გავუფრთხილდეთ განძს, სამარის პირთანაც რომ არ ეთმობოდა დიდ პოეტს!

მთავრობის, ძალადობისგან დაცული ბიზნესმენების და ხელფასით რეკორდსმენი მაღალჩინოსნების გასაგონად!

ალექსი პეტრიაშვილზე თავდასხმელი დაჭერილია!

შსს-ს ინფორმაციით, უწყებამ „თავისუფალი დემოკრატების“ წევრზე ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტი გახსნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ალექსი პეტრიაშვილზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, 1975 წელს დაბადებული ლევან მ. ბორჯომში დააკავეს. ლევანის თანამზრახველის დასაკავებლად ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს.

◎ 1956-2016

იარა ღიად რჩება!

ავტორის წინათქმა

60 წლის წინათ,1956 წლის 9 მარტის საღამოს, ჩემი და ჩემი ბიძაშვილის გურამ შენგელიას თვალწინ სასიკვდილოდ დაჭრეს 12-13 წლის ყმაწვილი, რომელიც, როგორც მოგვიანებით შეიტყვე, ჩემი ერთ-ერთი პირველი მასწავლებლის, ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის, შემდგომში კი თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ყოფილი დირექტორის, ბატონ აკაკი შანიძის დედისერთა ვაჟი – თენგიზი იყო.

როგორც უამრავ დანარჩენ შემთხვევაში, იმდროინდელმა ხელისუფლებამ დაღუპულის მშობლებს კატეგორიულად აუკრძალა და არც ამ ყმაწვილის საფლავის ქვაზე არ გახლდათ მითითებული გარდაცვალების თარიღი. ჭირისუფლებმა იგი მხოლოდ მას შემდეგ მიაწერეს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ცხადზე უცხადესი გახდა, რომ 9 მარტის გრანდიოზული აქციების მონაწილეთა უმრავლესობის მიზანი რომელიმე კონკრეტული პიროვნების დაცვა კი არა, ქართველების სამშობლიდან დედაწულიანად გასახლების ხრუშჩოვისეული გეგმის წინააღმდეგ ბრძოლა და ერის ღირსების აღდგენა იყო. ამ ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილ სტრიქონებს, რომლებიც ამონარიდია პოემიდან „შავი ფლასი“, ვურთავთ 9 მარტის მსხვერპლის – თენგიზ შანიძის სურათს, რომელიც დედამისმა, ქალბატონმა ნინო შანიძემ გვისახსოვრა.

1.
წამების ფერით, ფერით ამარტის
გლოვად შემორჩა ხსოვნას 9 მარტი.
მახსოვს ტყვიები ნასროლი მიჯრით
და ჩაცხრილული პატარა ბიჭი.
მახსოვს, სატანურ შემოტაკებით
დარახრახებდნენ ხალხში ტანკები
და მღვრიე მტკვარში დიდხანს იდინა
სისხლის მდინარემ მარქსის ხიდიდან.
ფლასის* ხაო აქვს ფიქრს იმ დროს ნაქსოვს,
მახსოვს, 9 მარტზე ბევრი რამ მახსოვს!

2.
ძარღვებში ისევ სიცივე ატანს,
კბილებთან კვლავაც კაწკაწებს ქარი;
გაფითრებია ტუჩები ატამს,
ვერ მივხვდი, გუშინ რა უხაროდა?
დღეა ცივი და დღეა მწუხარი
და ჩაფერფლილა ალიბუხარი....
კვირტებს, რომლებსაც არ დაუხანდათ,
თარიღდაუსმელ საფლავის ქვათა
მოგონებებთან ქარი აომებს.

შემოუტია გაზაფხულს მარტმა
და ყინვის ფუნჯი ფანჯრებზე ხატავს
დახვრეტილ ბავშვს და დამზრალ თაობებს.

3.
რა წამს განგმირეს ჩემს თვალწინ ბავშვი,
დრო დადგა ყველა ხუხულის დაშლის
და ამას დასტურ ვერავინ წაშლის!
მახსოვს, ღებავდნენ სისხლიან ფასადს
და საფლავებზე თარიღის დასმა,
ჭირისუფალთა სიცოცხლის ფასად,
აკრძალეს მაშინ!

4.
სისხლი კი არა,
ვისაც ცრემლი არ დაუღვრია,
ვერ გრძნობს, იარა
დღევანდლამდე რად რჩება ღიად!

ალექსანდრე შენგელია

**ფლასი-ბალნის ძაძა (სულხან-საბა).*

◎ ინფორმაცია

კოალიციური ცხოვრების ერთი ეტაპი ოქტომბერში სრულდება

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აცხადებს, რომ ოქტომბრიდან იწყება კოალიციური ურთიერთობის ახალი ეტაპი. „რესპუბლიკელების“ ლიდერმა მედიასაშუალებებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

– ჩვენ, ერთი მხრივ, ვასრულებთ ერთად ყოფნის ერთ ეტაპს, კოალიციური ცხოვრების ეტაპს, რომელიც სრულდება ოქტომბერში არჩევნებით. მეორე მხრივ, ვემზადებით მეორე ეტაპზე გადასასვლელად. ეს ორი ეტაპი ძალიან მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, პირველ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილმა შეკრიბა ქვეყნის გადამრჩენი ლაშქარი მიხეილ სააკაშვილის და მისი რეჟიმისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად. ჩვენ ახლა ოქტომბერში, არჩევნებზე მივდივართ არა ვინმე ბოროტებისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად, არამედ ქვეყნის წინ წასაყვანად.

ფირალიშვილი ალასანიას ყველანაირ წინააღმდეგობებს გადაალახვინებს

„თავისუფალ დემოკრატებს“ ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი შეუერთდა. ის საზოგადოებას ირაკლი ალასანიამ წარუდგინა.

,,ამაყი ვარ, რომ შემოგვიერთდა გამორჩეული ინტელექტუალი, შეუბღალავი ავტორიტეტის და მაღალი პროფესიული სტანდარტის ადამიანი ზაზა ფირალიშვილი. როცა ჩვენს გვერდით დგებიან ისეთი მოაზროვნე ადამიანები, როგორიცაა ბატონი ზაზა, გვიმყარებენ იმ განცდას, რომ არ არსებობს ისეთი სირთულე, რომელიც შეიძლება „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ვერ გადავლახოთ. ისინი მორალურად გვამხნევებენ და გვძენენ თვითრწმენას იმისა, რომ ნებისმიერი სირთულის საქმის მოგვარება და პრობლემების გადაწყვეტა შეგვიძლია“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.



რაც შეეხება ზაზა ფირალიშვილს, მისი შეფასებით, „თავისუფალი დემოკრატები“ რაციონალური და ცივილიზებული პოლიტიკური კულტურის მატარებელი ძალაა.

საარჩევნოდ სპეცუბნების შექმნა აიკრძალება

თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების სამინისტროების, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურის, ასევე – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ქვედანაყოფების ტერიტორიაზე სპეციალური საარჩევნო უბნების შექმნა აიკრძალება.

ამასთან დაკავშირებით, მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უკვე დარეგისტრირდა.

კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის საარჩევნო კოდექსში, რაც დასახელებულ უწყებებში საარჩევნო უბნის შექმნის აკრძალვას ითვალისწინებს.

ამასთან, პროექტით კიდევ რამდენიმე ცვლილებაა გათვალისწინებული. კერძოდ, რეგულირდება გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნის საკითხი, მაგალითად, პენიტენციალურ დაწესებულებაში, სათანეოების სახლსა და საავადმყოფოებში.

ასევე ზუსტდება სპეციალურ საარჩევნო სიაში, შეყვანილ ამომრჩეველთა მაჟორიტარული და პროპორციული მონაწილეობის წესი.

კერძოდ, ცვლილების მიხედვით, პარლამენტის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, შესაბამის საარჩევნო ოლქში მონაწილეობას მიიღებს ის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც არჩევნების დღისთვის, ერთი წლით ან ერთ წელზე მეტი ვადით განთავსებულია დისლოკაციის ადგილზე. ან თუ იგი, ადგილსამყოფელს იცვლის, ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე.

ახლა სასამართლო აკონტროლებს პროკურატურას?!

სოსო რობაძიძე შვილის მკვლელობის საქმეში სასამართლო პროცესის კიდევ ერთხელ გადადებას აპროტესტებს და აცხადებს, რომ ქართველმა ხალხმა ძალიან მალე მთელ პროცესებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს. მისი თქმით, ბუტა რობაქიძის საქმეს ისე გადაჰყვებიან მურუსიძის მხარდამჭერები, როგორც გადაჰყვა „ნაციონალური მოძრაობა“.

„იაშვილს დასცდენია ფეხი და სადღაც დაცემულა. მე უკვე ვატყობ, რომ თითიდან გამოწოვილია ეს ყველაფერი. ეს არის იმის შედეგი, რომ მურუსიძეები გვყავს აქ. ვიძლევი პირობას, მურუსიძეებს ვინც მხარს უჭერს, როგორც ამ საქმეს გადაჰყვნენ „ნაციონალები“, ისევე გადაჰყვებიან ისინი. მოსამართლის აცილებას ვითხოვ. კიდევ ერთხელ ვამბობ, ამდენი ხანი იყო პროკურატურა, რომელიც სასამართლოს აკონტროლებდა, ახლა სასამართლო აკონტროლებს ყველაფერს. შეიცვალა როლები. მურუსიძეები არიან სასამართლოში და ქართველმა ხალხმა, ძალიან მალე, მთელ პროცესებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს“, – განაცხადა სოსო რობაქიძემ.

ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე სასამართლო პროცესი გუშინ 31 მარტისთვის გადაიდო.

◎ პატივგება

ეროვნულ გმირს ჟიული შარტავას 72 წელი შეუსრულდებოდა

7 მარტს ჟიული შარტავას 72 წელი შეუსრულდებოდა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ელგუჯა გვაზავამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრებმა ჟიული შარტავას დაბადებიდან 72 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული გმირის საფლავი გვირგვინით შეამკეს და კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ნაციონალების რაოდენობა მეორეხარისხოვანია, ხარისხზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენ რო პრინციპულ საზოგადოებას წარმოვადგენდეთ, უღიმღამო, უდღეური, აქციის ჩატარებას კი არა – შუაღამით ნაგვის გადაყრას ვერ უნდა ბედავდნენ ხალხის შიშით.

● საქართველოში სასამართლო, ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები ის უცხო პლანეტელები არიან, რომლებსაც მოსახლეობა ფეხებზე ჰკიდიათ, რომლებიც თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ ყვითელ, შხამიან სითხეს აფრქვევენ და მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენზე ბატონობენ.

აბა თქვენ იცით ამ უცხოპლანეტელების მონებო, დაელოდეთ შვარცენეგერს, უეჭველი გიშველით.

● ბაქრაძე ჰორიზონტალურად ჩაბმულა ჯაჭვში – ადგილს მოვიგებთო.

● ისე მოხდა, რომ ვერ ვნახე.

ამბობენ, ცოცხალი ჯაჭვის მაგივრად, ცოცხალმკვდარი ჯაჭვი გამოვიდაო და ეგრეა?

● კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებმა (რბილად რომ ვთქვა), მასში შემავალი „პოლიტიკური სუბიექტების“ სრული ლუსტრირება მოახდინა. აჩვენა, რომ კოალიციის წევრი სუბიექტები „მრეწველების“ და „რესპუბლიკელების“ გარდა, მოლოდინის რეჟიმში არიან (პრინციპში „მრეწველებიდან“ მხოლოდ გოგი თოფაძე აკეთებს ხისტ განცხადებებს). ეს კი აბსოლუტურად ზუსტად გვაჩვენებს ამ „პოლიტიკური სპექტრის“ ნამდვილ არსს.

პარტია „ქართულ ოცნებასა“ და „რესპუბლიკელებს“ შორის გაფორმებულმა მემორანდუმმა და დანარჩენი „ძალების“ უნიათო, გაურკვეველმა პოზიციამ დაადასტურა, რომ კოალიციაში პროცესებს ეს ორი პოლიტიკური ორგანიზაცია წარმართავს.

საინტერესოა, თუ რაში სჭირდება პარტია „ქართულ ოცნებას“ ის ბალასტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი რეიტინგის და, ცხადია, ლიდერის რეიტინგის დაცემას ემსახურება?

● ეკა კვესიტაძემ ლევან მურუსიძე გირგვლიანის და მოლაშვილის საქმეებზე ამორალური გადაწყვეტილების მიღებისთვის გაკიცხა, მურუსიძემ თავი იმართლა, მე არსებული კანონის ფარგლებში ვმოქმედებდიო.

რა ვთქვა არ ვიცი, იმიტომ რომ უკვე ჩემს თავში მეპარება ეჭვი, მართლა ვიცი, თუ არა, რას ნიშნავს დემოკრატია და მეტეორის ჩამოვარდნის სურვილი ნელ-ნელა მიმძაფრდება.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ სამართლიანობა აღდგა!

პროკურატურა მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეულ ბინებს უბრუნებს!

საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დაზარალებულ მოქალაქეებს უკანონოდ ჩამორთმეული და ამჟამად სახელმწიფო ბალანსზე რიცხული 3 საცხოვრებელი ბინა და 1 საოფისე ფართი დაუბრუნდებათ. ამის შესახებ პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებას „ჯი-ეიჩ-ენი“ უცვლელად გთავაზობთ:

„დეპარტამენტის მიერ გახსნილია ქონების უკანონოდ ჩამორთმევის მორიგი ფაქტი. კერძოდ, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2010 წლის 6 სექტემბერს მთავარ პროკურატურას დაკავებული ჰყავდა სამშენებლო კომპანია „მშენებელი XXI საუკუნის“ დირექტორი და დამფუძნებელი მერაბ ლურსმანაშვილი და ნუგზარ ბარბაქაძე, რომელთაც ედავებოდნენ მშენებლობის პროცესში ამხანაგობის კრების ოქმის გაყალბებას და მათ უკანონოდ გამოყენებას.

გამოძიების მსვლელობისას მთავარი პროკურატურის წარმომადგენლებმა პროკურატურაში დაიბარეს დაკავებული მშენებლების ნუგზარ ბარბაქაძისა და მერაბ ლურსმანაშვილის მეუღლეები – მარინე რუაძე და მარინე მამაცაშვილი, რომლებსაც განუცხადეს, რომ თუ სურდათ მათ მეუღლეებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ამისთვის აუცილებელი იყო უსასყიდლოდ დაეთმოთ წყნეთის გზატკეცილზე №39-ში მდებარე მათ კანონიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინები, წინააღმდეგ შემთხვევაში ნუგზარ ბარბაქაძეს და მერაბ ლურსმანაშვილს დიდი ხნით მოუწევდათ ციხეში ყოფნა. აღნიშნული ზეწოლის შედეგად, პროკურატურაში არაერთი გამოძახების შემდეგ, მარინე რუაძე და მარინე მამაცაშვილი იძულებულნი გახდნენ, დათანხმებოდნენ პროკურატურის უკანონო მოთხოვნას და სახელმწიფოს სახელზე გადააფორმეს მათ საკუთრებაში არსებული ბინები. მხოლოდ ამის შემდეგ პროკურატურამ ბრალდებულებთან გაფორმა საპროცესო შეთანხმება, სადაც არ აისახა შეთანხმების „ჩრდილოვანი პირობა“ – ბინების დათმობა, ბრალდებულებს განესაზღვრათ პირობითი მსჯავრი, დაეკისრათ ჯარიმები და მათ დატოვეს საპატიმრო დაწესებულება. უკანონოდ ჩამორთმეული ბინები კი აღირიცხა პროკურატურის და თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე.

გამოძიებასთან გამოჩენილი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, ჩვენს მიერ ბინების ჩამორთმევაში მხილებული ყოფილი პროკურორის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრეცია და არ მოხდა მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. თანამშრომლობის შედეგად კი გამოძიება გაგრძელდება პროკურატურის ყოფილი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიმართ.

დაზარალებულ მოქალაქეებს მარინე მამაცაშვილს, მერაბ ლურსმანაშვილს, ნუგზარ ბარბაქაძეს და მარინე რუაძეს დაუბრუნდებათ ამჟამად სახელმწიფოს ბალანსზე რიცხული წყნეთის გზატკეცილი 39-ში მდებარე 150 000 დოლარამდე ღირებულების 166 და 87 კვადრატული მეტრი ორი საცხოვრებელი სახლი.

გარდა ამისა, საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა კიდევ ერთი დაზარალებული მოქალაქის რამაზ თოთლაძის დარღვეული უფლების აღდგენა მოახერხა. რამაზ თოთლაძე თბილისის საapელაციო სასამართლომ 2011 წლის 05 ივლისს უსაფუძვლოდ დამნაშავედ ცნო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის და სასჯელად განუსაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით და ჩამოართვა საცხოვრებელი ბინა და საოფისე ფართი.

2016 წლის 14 იანვარს, პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით მიმართა საapელაციო სასამართლოს და მოითხოვა რამაზ თოთლაძის რეაბილიტაცია – მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა და უკანონოდ ჩამორთმეული საცხოვრებელი ბინის და საოფისე ფართის დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ სააapელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და დადასტურებულად მიიჩნია, რომ რამაზ თოთლაძეს ბრალდება უკანონოდ ედავებოდა საცხოვრებელი ბინის და საოფისე ფართის შეძენის გზით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, რის საფუძველზეც მას ჩამორთმეული ჰქონდა ხსენებული უძრავი ქონებები, რასთან დაკავშირებითაც სააapელაციო სასამართლომ 2016 წლის 29 თებერვალს რამაზ თოთლაძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, მოუხსნა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარი.

ყოველივე ამის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართავს, რათა დაზარალებულ მოქალაქეს რამაზ თოთლაძეს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ნახევარ მილიონ ლარამდე ღირებულების თბილისში, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე დუპლექსის ტიპის 535 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა და ამავე მისამართზე მდებარე 57,04 კვადრატული მეტრი საოფისე ფართი.

ამრიგად, მთავარ პროკურატურაში შექმნილი ახალი დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად 5 დაზარალებულ მოქალაქეს პროკურატურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მთავრობის ერთობლივი მუშაობით დაუბრუნდებათ 1 მილიონ ლარამდე ღირებულების 3 საცხოვრებელი ბინა და 1 საოფისე ფართი.

პროცესი, რომელიც პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, რაც უკავშირდება დაზარალებული მოქალაქეებისთვის 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იძულებით ჩამორთმეული ქონებების დაბრუნებას, აძტიურად მიმდინარეობს და მას ეძნება შეუძცევადი ხასიათი.

ერთობლივი ღონისძიებები ორი ქვეყნის პოტენციალს უკეთ წარმოაჩენს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება. მინისტრმა პირველი შეხვედრა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ილჰამ ალიევთან გამართა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე კმაყოფილებით აღინიშნა თბილისსა და ბაქოს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა. მხარეებმა განიხილეს ორი ქვეყნის ურთიერთობის აქტუალური საკითხები და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის არსებულ მზარდ პოტენციალზე. მხარეებმა განიხილეს საერთაშორისო ასპარეზზე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობები ორი ქვეყნის პოტენციალის კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენის მიზნით.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორი ქვეყნის მნიშვნელობას საერთაშორისო ენერგეტიკული და სატრანზიტო პროექტების რეალიზაციის თვალსაზრისით. განსაკუთრებით აღინიშნა ბაქო-სუფსის პროექტის ინაუგურაციის 20 წლისთავი, რომელიც წელს აღინიშნება. მხარეებმა კიდევ ერთხელ დადასტურეს ამ პროექტის მნიშვნელობა, რომელმაც საფუძველი დაუდო ორი ქვეყნის ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებას და მათ ჩართულობას გლობალურ პროექტებში. მიხეილ ჯანელიძე აზერბაიჯანში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან, მილი მეჯლისის თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

რაჭა-ლეჩხუმში კოოპერატივებს ახალი ტექნიკა გადაეცათ

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის 20 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში 29 აგროკომპლექტი (ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს – 11 აგროკომპლექტი, ონის მუნიციპალიტეტის 13 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს – 18 აგროკომპლექტი) გადასცა. ღონისძიებას მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე, რაჭა-ლეჩხუმის მხარის გუბერნატორი პაპუნა მარგველიძე და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების საagენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე ესწრებოდნენ.

პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს რთული რელიეფის მქონე და მცირე მიწის ნაკვეთების დამუშავებასა და მათ ეკონომიკურ აქტივობაში ჩართულობას. გათვალისწინებულია კოოპერატივებისთვის მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, ღირებულების 24 %-ად გადაცემა. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი (სათიბით, გუთნით, კულტივატორით) და ხელის სათესი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა მეპაიეები დევნილები ან/და ეკომიგრანტები არიან, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას, დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათესი სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. პროგრამის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით 584 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა 1415 აგროკომპლექტი უკვე მიიღო.

„SALVE“ – სოციალურად დაუცველ ბავშვებს დაეხმარება

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ანტუან ბარდონმა იუსტიციის სახლში ფონდი „Salve4 ოფიციალურად დაარეგისტრირეს. უწყების ინფორმაციით, ფონდის მიზანი ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვებისთვის პროექტების დაფინანსება და სოციალურად დაუცველ ახალშობილებში კვების დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობაა.

ფონდი „სალვე“ ხელს შეუწყობს ისეთი პროექტების დაფინანსებას, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების განრიდება ქუჩისგან. სოციალურად დაუცველ ოჯახებს ახალშობილთა დაბადების რეგისტრაციისას იუსტიციის სახლებში სპეციალური სასაჩუქრე პაკეტები გადაეცემათ. პაკეტში, სხვა საბაზისო საჭირო ნივთებთან ერთად, ის ვიტამინებიც იქნება, რომლებიც „UNICEF“-ის სტანდარტით კვების დეფიციტის აღმოფხვრისთვის არის აუცილებელი. სტატისტიკური მონაცემებით, დღეს საქართველოში 100 000 ბავშვზე მეტი კვების დეფიციტის მქონეა, რაც ხელს უშლის მათ ფიზიკურ და ინტელექტუალურ განვითარებას. ამ დეფიციტის აღმოფხვრა ურთულესია ორი წლის ასაკის შემდეგ. ამიტომაც, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, „სალვეს“ ერთ-ერთი მიზანი ბავშვების კვების დეფიციტის აღმოფხვრის ხელშეწყობა იქნება.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ანტუან ბარდონმა დააფუძნეს. მისი პირველი შემომწირველები საფრანგეთის ყოფილი ელჩი საქართველოში რენო სალენსი და საქართველოში მოღვაწე ფრანგი, ქართველი და ამერიკელი ბიზნესმენები არიან. გაიმართა აუქციონი, სადაც მოწვეულმა ბიზნესმენებმა საფრანგეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისათვის სხვადასხვა ორგანიზაციის, ხელოვანთა და სპორტსმენთა მიერ გადაცემული ნივთები შეიძინეს. პირველი 10 ათასი ლარი უკვე შეგროვდა, რაც იმედს იძლევა, რომ ბავშვებისათვის დაგეგმილი პროექტების განხორციელება 1 ივნისიდან შესაძლებელი გახდება.

გავუფრთხილდეთ განძს, სამარის პირთანაც რომ არ ეთმობოდა დიდ პოეტს!

მთავრობის, ძალადობისგან დაცული ბიზნესმენების და ხელფასით რეკორდსმენი მაღალჩინოსნების გასაგონად!

„ᲛᲨᲕᲔᲚᲐᲖᲔ დიდი საქმე, რაც არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობას ამშვენებს, ეს არის მისი მეთაურობით წამოწყებული რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც დიდი შენაძენია ქართული ენათმეცნიერებისა და ქართველი ერისა. აქ თავმოყრილია და ახსნილია უამრავი ლექსიკური მასალა ახალი ქართული ენისა, რაც დიდხანს დარჩება სამაგიდო წიგნად ყოველ განათლებულ ოჯახში“.

ᲔᲡ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲐ.

ვერაფერს დაამატებ და არც არის საჭირო, რადგან ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა საქმემ და ეროვნულმა საჭიროებამ გამოაჩინა შემქმნელიც და შექმნილიც.

მაგრამ ენა მუდმივად ვითარდება და თუ ამას ფეხს არ აუწყობ და მისი დაცვისთვის დღენიადაგ არ იზრუნებ, ისიც დაზიან-დანაგვიანდება უამრავი მინარევით, ბარბარიზმითა თუ კალკით...

და რაოდენ გასახარია, რომ ამ მართლაც საშვილიშვილო საქმის გამგრძელებელი გამოჩნდა – ახალი, შევსებული, თანამედროვეობის მოთხოვნას მორგებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა დაიწყო მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფმა ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘᲡ თავკაცობით.

დღეის მდგომარეობით გამოსაცემად გამიზნული ათტომეულის პირველი სამი ტომი გამოსულია (რა თქმა უნდა, ძალიან მცირე ტირაჟით – სამივე ტომი ერთობლივად 1300 ეგზემპლარად დაიბეჭდა), რაც ზღვაში წვეთზე ნაკლებიცაა, მაგრამ, რაც უმთავრესია, საქმე დაიძრა და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში, ახალი ეგზემპლარების გამოცემა პრობლემა არ არის.

პირადად მე, როგორც მოქალაქეს, პიროვნულად კი როგორც მეგობარს, მიხარია და მეამაყება, რომ ამ მამულიშვილურ საქმეს სწორედ ბატონი ავთანდილ არაბული უდგას სათავეში – **კაცი უდავოდ მაღალნიჭიერი და პროფესიონალი, თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, განათლებული, თავადაც ორგანიზებული და საერთო საქმის წარმატებისთვის თანამოაზრეთა სწორად შემომკრებ-დამრაზმავი, შესანიშნავი მეოჯახე და პიროვნება...**

აუჰ, უნდა შევწყვიტო, თორემ მისი ხასიათი რომ ვიცი, ამ სიტყვების წამკითხველი უამბიციო ბატონი ავთანდილი, სულ მცირე, უსიამოვნოდ შეიშმუშნება.

თუმცა რა ვქნა, ასეა და! იმადაც დავწერე წელგამართულად ეს რამდენიმე საქებარი სიტყვა, რომ სრული ჭეშმარიტებაა: **მჭონდა და მაქვს ბედნიერება, სტუდენტობიდანვე მცნობოდა და მემეგობრა მასთან – თანაკურსელები ვართ, სტუდქალაქშიც ერთ ოთახში გვიცხოვრია.** იმთავითვე ასეთი იყო **– მუდამ მოწესრიგებული, მომეცადინე, ერთთავად წიგნებში თავჩარგული** (თუმცა არც მეგობრობა-ამხანაგობაში ჩამორჩებოდა ვინმეს ჭირსა თუ ლხინში), **წარჩინებული სტუდენტი, მშობლიური ხევსურეთის ახალჩამოთოვლილი მთებივით სუფთა სულის პატრონი...**

ახლა კი, თუ არ შევწყვიტე, ვგრძნობ, გამიბრაზდება. ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ.

ამას წინათ ბატონ ავთანდილს დავუკავშირდი. რაკი ვიცოდი, რომ ლექსიკონზე მუშაობისას ბევრ პრობლემას აწყდებოდა (უწინარესად, ფინანსურს), როგორ მიდის საქმეები-მეთქი.

მესამე ტომიც გამოვეცითო, რომ მითხრა, ძალიან გამიხარდა, თუმცა...

„საზიზღარი“ კომუნისტების „ტირანიის“ წლებში, როგორადაც იმ ეპოქას ახლანდელი „დემოკრატი ლიბერალები“ ნათლავენ, ყოველივე ქართულს, დღევანდელთან შედარებით, განუზომლად მეტი ყურადღება რომ ექცეოდა, ფაქტია.

ავიღოთ თუნდაც ნეტარხსენებული ჩიქობავასეული ენციკლოპედია, რომლის შექმნაზეც მაშინ 150-კაციანი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა გუნდი მუშაობდა და თითოეული ტომი 30-ათასიანი ტირაჟით გამოდიოდა (საგანგებოდ შექმნილი ერთტომეული კი სულაც 100-ათასიანი ტირაჟით დაისტამბა და მთლიანად გაიყიდა), ხოლო როცა ამ საშვილიშვილო საქმეს, ბატონი ავთანდილი ჩაუდგა სათავეში, **მის განკარგულებაში 15 კაციღა იყო... 100-ლარიანი(?!) ხელფასით.**

მერე, ახალი ხელისუფლების პირობებში, როგორც იქნა, ეს თანხა 500 ლარამდე გაიზარდა.

– ბატონო ავთანდილ, იქნებ მოკლედ გვითხრათ, რა პირობებში მუშაობდით საწყის ეტაპზე, ახლა რა ვითარებაა ამ მხრივ, რა მიგაჩნიათ საჭიროდ საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ტემპის დასაჩქარებლად?

– იმ საწყისს, წინა ხელისუფლების პერიოდს, ნუ გამახსენებთ, ისე აგდებულად ექცეოდნენ ქართულ ენასა და ყოველივე ქართულს ზოგადად. ქართულს ხეირიანად ვერც ვახსენებდით, ყველაფერი უცხო ენაზე იყო. მაშინ ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. იმდენი პრობლემა შეუქმნეს ამ სამეცნიერო დაწესებულებას, იძულებული გავხდი, ულტიმატუმის ტონით მეთქვა, თუ ინსტიტუტს შეგვინარჩუნებთ, მაშინღა განვაგრძობთ განმარტებითი ლექსიკონის გამოცემას-მეთქი.

ახლა რა შედარებაა, როგორც გითხარით, ხელფასები გაიზარდა. რა თქმა უნდა, არც ისე დიდად, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მომენტია. და, **რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, პარლამენტმა მიიღო „ენის კანონი“, რაც ძალიან პოზიტიური და დიდი იმედის ჩამსახავი გადაწყვეტილებაა.**

რაც შეეხება თქვენი კითხვის ბოლო ნაწილს, როცა ამხელა საქმე კეთდება, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა არსებობდეს სათანადოდ დაფინანსებული სპეციალური სახელმწიფო პროგრამა. და კიდევ, ამჟამინდელ უმაღლეს სასწავლებლებში საჭიროა სათანადო ანაზღაურების მქონე სულ მცირე 30 კაცი, რათა ორ ტომზე ერთდროულად შევძლოთ მუშაობა და ვადის საგრძნობლად შემცირება. ეს იმისთვისაცაა აუცილებელი, რომ ენა ძალიან სწრაფად ვითარდება, რის ტემპსაც ფეხი უნდა ავუწყოთ, თორემ ძალიან ვზარალდებით – **თუ ამ ოცდაათი წლის წინათ არავის არ ჩამოვრჩებოდით ლექსიკოგრაფიაში, ახლა ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა გვაქვს.**

– რამდენი სიტყვა განიმარტება თქვენს გამოცემაში და რამდენი ტომი დასჭირდება ამას?

– სულ მცირე 180 ათასი სიტყვა (ჩიქობავასეულში 112 ათასი იყო), რასაც, შესაძლოა, 10 ტომიც არ ეყოს.

– რა დაჯდა მესამე ტომის გამოცემა?

– ხუთასი ეგზემპლარის დაბეჭდვას 20 ათასი ლარი დასჭირდა.

...20 ᲐᲗᲐᲡᲘ ლარი! სულ ახლახან ხომ ამაზე მეტი – 30 ათასი ლარი თვიური ხელფასი იყო ერთი მაღალჩინოსნისა, რომლის „სამართალმემკვიდრე“ ამაყად ამბობდა, ხელფასი 20 ათასამდე შევიმცირეო (საბრალო, ეყოფა ვითომ თუნდაც წვრილმანებისთვის?)!

დავუშვათ, მთავრობას ამ ეტაპზე არა აქვს ამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმისთვის სათანადო დაფინანსების გამოყოფის საშუალება. მაგრამ **ხომ არსებობს უამრავი ფონდი თუ პროგრამა, რომელთაგანაც რამდენიმეს მაინც შეუძლია ხელის შეშველება? ᲮᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ, ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲝᲑᲘᲡᲐᲡ ᲪᲮᲕᲠᲔᲑᲘᲕᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲙᲠᲔᲭᲓᲜᲔᲜ, ᲯᲘᲯᲒᲜᲘᲓᲜᲔᲜ, ᲓᲘᲓᲫᲐᲚ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲫᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲓᲜᲔᲜ?!**

ორ-სამ ბიზნესმენს ხომ თავისუფლად შეუძლია ერთი ტომის გამოცემა და მასზე მომუშავე სპეციალისტთა შრომის ჯეროვნად დაფინანსება? არ ღირს ეს ნამდვილი მამულიშვილისთვის თუნდაც საქვეყნო მნიშვნელობის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის გამო სიამოვნებისა და იმ ერთგვარი სიამაყის განცდად, როდესაც საკუთარ გვარ-სახელს იხილავს წიგნში, ქველმოქმედება-თანადგომისთვის ავტორთაგან მადლიერებით მოხსენიებულს?

ბოდიშს ვუხდი ყველას (მათ შორის, ზემოთ მოხსენიებულთაც, ცხადია) იმ ელემენტარული ჭეშმარიტების შეხსენებისთვის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ქართული ენა ჩვენი ფასდაუდებელი განძია და მას ჯეროვანი მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ერთი განახათ, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი და მარტო მატერიალურად კი არა, კულტურული ტრადიციებითაც ასევე ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყნის – საფრანგეთის ხალხი და ხელისუფლება როგორ ზრუნავს ფრანგული ენის სიწმინდის დაცვისთვის, რა კომისიები თუ სამსახურებია შექმნილი და რა ჯარიმებია დაწესებული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენთან კი სიტყვით ვითომ არამცთუ მარტო ქართული ენის, არამედ, ზოგადად, ყოველივე ქართულის დასაცავად შემართულმა, ხოლო საქმეებით სრულიად საპირისპიროდ მოქმედმა ნაცმოძრაობამ, რაიმე იღონა საამისოდ და სათანადო სამსახური თუ კომისია შექმნა (თუნდაც კომუნისტების დროინდელ „ქართულ სალიტერატურო ნორმების დამცველი სახელმწიფო კომისიის მსგავსი) კი არა, რამდენიმე ᲐᲗᲔᲣᲚᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲪ გააუქმა.

ასეთი „ზრუნვის“ შედეგიც კარგად ჩანს: ქართული ენა დაკნინებულია, ლამის ყველა დაწესებულება თუ შენობა-ნაგებობა ინგლისური წარწერებითაა აჭრელებული, ჩვენი ტელეწამყვანების უმეტესობა ისეთი ქართულით მეტყველებს, როგორც იტყვიან, ყურო, ნუ გაიგონებ, ბეჭდური მედიის თანამშრომელთა უმეტესობა კი იმგვარი ქართულით წერს, თვალო, ნუ წაიკითხავ!

ამადაც არის ერთობ საშური, ბატონებო, განმარტებითი ლექსიკონის დროულად გამოცემა, რადგან იგი, თამამად შეიძლება ითქვას, ლექსიკონთა ლექსიკონია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს მთელი ლექსიკოგრაფია, მათ შორის, ქართული ენის ნორმატიული ლექსიკონებიც.

ამიტომაც მოგიწოდებთ ამ ძალიან მნიშვნელოვანი საქმის მხარდაჭერისკენ.

და ბოლოს, არ ვიცი, რამდენად გაიზიარებს ჩემს მოსაზრებებს ბატონი ავთანდილ არაბული, მაგრამ იქნებ არ იქნეს ცუდი განმარტებითი ლექსიკონის გამოცემისთვის ხელშემწყობი სპეციალური ფონდის შექმნა, რომელსაც თავისი ანგარიში ექნება, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება თანხის ჩარიცხვა.

თუ ასეთი ფონდი შეიქმნება და მასში თანხის ჩამრიცხავნიც გამოჩნდებიან (ვიმედოვნებ, უთუოდ გამოჩნდებიან!), ჩვენი რედაქცია გაზეთის პირველ გვერდზე სისტემატურად გამოაქვეყნებს მათს გვარ-სახელებს.

რუსლან რუსია

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის პირთან“.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ – „ᲮᲛᲐ ᲙᲐᲢᲐᲛᲝᲜᲗᲐᲜ“



ხმა ერის გასაგონად!

ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო

(პირველი გვერდიდან) კონგრესის სესიებზე ჩვენ ვაცხადებთ სამ პრიორიტეტულ მიმართულებას:

პირველი – განათლება და მეცნიერებაა სახელმწიფოს საძირკვლის პირველი ქვაკუთხედი. ჩვენი წევრი და მეგობარი მეცნიერები დიდი ხანია, მუშაობენ ამ პრობლემაზე;

მეორე – მეწარმეობის დაცვის გარეშე არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მეწარმეა ქვეყნის ძლიერების მეორე ქვაკუთხედი. მეწარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციონალურად და არა ხელისუფალის პირადი შეხედულებებისა და ახლობლობის მიხედვით. მეწარმე ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით;

მესამე – კულტურა და მეცნიერება ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ ოპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

ჩვენი მიზანია, აღნიშნული სამი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შევიმუშავოთ პროგრამა გარე სამყაროსთან ურთიერთობისა; ურთიერთობისა ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით ამ სიტყვის ყველაზე მაღალი, ფილოსოფიური გაგებით.

დღეს, როცა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი უცხოეთშია გადახვეწილი, ისტორიული ბედის უკუღმართობისა თუ უახლოესი წლების ეკონომიკური გაჭირვების გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას და მზრუნველობას საჭიროებენ ემიგრანტები და შრომითი მიგრანტები. ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი სახელწოდებით „ემიგრანტთა განწყობა-გადაძახილი მომავლის საქართველოსთვის“, რომლის პირველი ვარიანტი დავბეჭდეთ ცალკე გაზეთად, გავაცანით რამდენიმე სახელმწიფოში მცხოვრებ თანამემამულეებს და მათი სურვილების გათვალისწინებით სრულყოფილი საბოლოო ვარიანტი წარედგინება ყველა სესიას;

- ისმის ლოგიკური კითხვა – რა მიზანს ემსახურება კონგრესი, მისი სესიები, მათზე წარდგენილი საპროგრამო დოკუმენტები?
- ჩვენ გვინდა არა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან დაპირისპირება, არამედ მისი ანალიზი, ამ პროცესებში გააზრებული და არა სხვისი კარნახით მონაწილეობა, რაც მთავარია – თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- ჩვენ გვინდა არა უბრალოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა – დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობით, როგორც ამას სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები და ქვეყანაში მათი მხარდამჭერები გვკარნახობენ, არამედ რეალური ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;
- ჩვენ გვინდა ფიქრი არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოქმედება და ცხოვრება პრინციპით: „მშვიდობა და ძლიერება შინ და გარეთ“;
- ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს – ისე როგორც ამას აკეთებენ ევროპის დემოკრატიული ქვეყნები.
- ჩვენ გვინდა სამყაროსთან ურთიერთობა ინტელექტითა და ბიზნესით, მაგრამ შენარჩუნებული თვითმყოფადობით.
- ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ვაქციოთ პოლიტიკად, როგორც ეს დიდმა დავით აღმაშენებელმა შეძლო და შევცვალოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ პრინციპად დამკვიდრებული, პრაქტიკულად, ქვეყნის დამანგრეველი მოდელი: საქართველო ზესახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირების ადგილი (სწორედ ასეთ ადგილად გვთვლიან, რაც ძალიან სამწუხაროა). ჩვენი ამოცანაა, საქართველო ვაქციოთ ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესზე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის, ზესახელმწიფოთა ინტერესების ზედდების ქვეყნად.

ყველაფერი ეს რთულია და ძნელზე ძნელი, მაგრამ შესაძლებელი.

კონგრესის მიზანიც სწორედ ეს არის: საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი გაერთიანება ასეთი სახელმწიფოსათვის. სწორედ ამიტომ დგანან ჩვენი მოძრაობის სათავეებთან დიდი მამულიშვილები ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ. შემოერთების ეს პროცესი ძლიერდება. სწორედ ამიტომ არის ამ მოძრაობის ემბლემად საქართველოს მარადიულობის სიმბოლოდ აღიარებული მერაბ ბერძენიშვილის „კიდევაც დაიზრდებიან“...

ჩვენ ერთად ვდგავართ ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, ერთად ვმოქმედებთ ერისა და ბერის გაერთიანებისათვის, თაობათა ერთიანობისათვის...სიყვარულით ვქმნით ქართული განწყობისა და პლანეტარული აზროვნების ტელეკომპანიას – „ქართული“, რომლის აქციონერობა თითოეული ჩვენგანისათვის, საქართველოს ყოველი მოქალაქისათვის, მთელ მსოფლიოში მცხოვრები ქართველების, საქართველოს შვილების და საქართველოს მეგობრებისათვის ამ დიდ ქართულ პროცესში მონაწილეობის დასტური იქნება.

სიმბოლურია, რომ არსითა და სახელწოდებით ტელევიზია „ქართულიTV“, დედასამშობლო სალოცავ ხატად რომ გაუხდია, სწორედ დედის დღეს, ევროპის უძლიერეს სატელიტურ სისტემაში „EUTELSAT“ -ში ჩაერთო.

კონგრესი არის მომავალ წელს გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლისთავის მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნის ინიციატორი.

„ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებელთა, მხარდამჭერთა და მეგობართა მიზანია – შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე, ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად. სწორედ ამიტომ გვჭირდება კონგრესი, სწორედ ამიტომ გვჭირდება შოთა რუსთაველის 850 წლისთავის მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნა.

ორი წლის წინათ, როცა ჩვენ ვიწყებდით ამ

დიდ მოძრაობას, 4 აპრილს ლაზარეს აღდგინების დღეს, როცა ვკითხულობდით, ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით მდგომი უდიდესი მოღვაწის, მშვიდობის მსოფლიო ელჩის, „ჯარისკაცის მამის“ ავტორის რეზო ჩხეიძის წერილს: „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც...“ – ვფიქრობდით და დღესაც ვფიქრობთ, რომ ამ დიდ ეროვნულ საქმეებს სჭირდება ერისა და ბერის ერთიანობა. მადლობა დედაეკლესიას, უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს – გამოხატა დიდი მხარდაჭერა, პირადად გამოვიდა ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის ჩატარების იდეის მხარდაჭერის ინიციატივით.

კონგრესი, ეს ხანგრძლივი პერმანენტული პროცესი – სესიათა ერთობლიობა, ტარდება ქვეყნის შიგნით, ყველა ისტორიულ მხარეში და ქვეყნის გარეთ, საზღვარგარეთის ქვეყნებში.

გვაქვს რა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა, ხელისუფლების მხარდაჭერის პირობებში შესაძლებელია, აპრილის თვიდან მოყოლებული, სექტემბრის ჩათვლით, ყოველი თვის ბოლო დეკადაში ჩატარდეს კონგრესის საზღვარგარეთის სესიები.

დიდი ქართული საგანმანათლებლო ეპოქა: გელათის აკადემიიდან – დედაუნივერსიტეტამდე, დავით აღმაშენებლიდან – ილია ჭავჭავაძემდე, იოანე პეტრიწიდან – თერგდალეულებამდე. ასე ვუწოდეთ საზღვარგარეთულ საწყისს, რომელსაც ვაკავშირებთ ქართული აზროვნების უპირველეს საზღვარგარეთულ ციტადელთან – ათონის მთის მონასტერთან. კონგრესის სესია გაგრძელდება ოლიმპოს მთაზე, ნიკეაში, ათენში, ბაჩკოვოსა და პეტერბურგში.

ეძვი არ გვეპარება, რომ საერთო ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ სულიერი ერთობის დიდ დემონსტრაციად ვაქციოთ კონგრესის სესია ლევილში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს, შემდგომში „ჩვენებურებთან“ თურქეთსა და ირანში და საერთოდ ყველგან, სადაც ამის სურვილი და განწყობა ეძნებათ იქ მცხოვრებ ქართველებსა და საქართველოს შვილებს, საქართველოს მეგობრებს.

კონგრესის ერთი სესიის ჩატარება გადაწყვეტილი გვაქვს 12 აგვისტოს – დიდგორობას, დიდგორის ველზე. ეს არ იქნება სიმბოლური გასვლა და მხოლოდ პატივის მიგება ადგილადმი, რომლითაც „ ... დიდი გული გვაქვს ქართველებს“. საჭიროა მტერ-მოყვარემ გაიგოს ამ ომის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, რაც კარგა ხანია, აღიარა ევროპის არაერთმა მეცნიერმა, მაგრამ უცნობია ფართო წრეებისათვის. მეფეთ მეფე დავითმა სწორედ დიდგორზე გადაარჩინა ევროპული ცივილიზაცია ბარბაროსთაგან იავარქმნას და საქართველოს სამუდამოდ დაუმკვიდრა ქრიატიანობის მცველი აღმოსავლეთის გოდოლის სახელი. ჩვენ გვსურს სწორედ დიდგორის ველზე გაჟღერდეს ქართველ მეცნიერთა, სახელმწიფო მოღვაწეთა, მართალი სიტყვა დღევანდელი ქართული სახელმწიფოს მართვაში მათი როლის გააქტიურების შესახებ.

ჩვენი სურვილია, კონგრესის მუშაობის პირველი ეტაპის დასკვნით სესიაზე მის ხელმძღვანელად არჩეულ იქნას ჯგუფი, რომელიც არა მხოლოდ წარმართავს წარჩინებულ ქართველთა ამ დიდებულ დარბაზს, არამედ გააანალიზებს ხელისუფლების მაგისტრალურ გადაწყვეტილებებს, წარუდგენს პრობლემათა გადაწყვეტის მისეულ ხედვას და გააკონტროლებს ხელისუფლების მიერ ამ წინადადებათა გათვალისწინების და განხორციელების პროცესს.

იმის გათვალისწინებით, რომ „ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლები გახლავან თავიანთი დარგების ნამდვილი კორიფეები, საერთო-სახალხო პატივისცემითა და სიყვარულით მოსილი ადამიანები, ვფიქრობთ, ამ სურვილის განხორციელებას შევძლებთ.

ისე, როგორც მეფეთ მეფის უახლოეს გარემოცვას წარმოადგენდნენ გიორგი ჭყონდიდელი და სხვა მწიგნობარნი, 21-ე საუკუნეში საქართველოს ხელისუფლებამ მეცნიერთა და ბრძენკაცთა თანადგომით გარედან თავსმოხვეულ საგარეო და საშინაო კრიზისების შექმნის ტექნოლოგიებს უნდა დაუპირისპიროს კრიზისებთან ბრძოლისა და მათი გაუვნებელყოფის ტექნოლოგიები. ხელისუფლება უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მრავალპარტიაგამოვლილ პოლიტიკოსებსა და მრავალპარტიულ პარლამენტარებს აქტიურად ჩაენაცვლონ ეროვნულ ფესვებზე მყარად მდგარი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე განსწავლული პიროვნებები, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი და უცხოელ კოლეგათაგან პატივდებული მოღვაწეები... სწორედ მოღვაწეების პარლამენტსა და მთავრობას, ანუ განათლებულ და რწმენაზე დამყარებულ ადამიანთა ხელისუფლებას იმსახურებს ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი საქართველო, სწორედ ასეთ ხელისუფლებასთან არის დაკავშირებული საქართველოს მომავალი.

ვფიქრობთ, დიდი ხანია, დადგა დრო, ქვეყანა ჩაიბარონ, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა – „სახელმწიფო კაცებმა“. რეალობა გვიჩვენებს – დრო აღარ ითმენს!

მოგეხსენებათ, პატრიარქის ყოველი სიტყვა არაერთხელ არის აწონილ-გაზომილი და განსახორციელებლად გამიზნული – მან კი 26 მაისის სისხლიანი ანგარიშსწორების შემდეგ, კუნძულ კვიპროსიდან დაბრუნებისას ბრძანა – „ბრძენთა საბჭო“ აქვთო შექმნილი კვიპროსელებს“... გამგები გაიგებს...

ჩვენ გვეამაყება, რომ „ქართული ერთობის დარბაზი“ ემიჯნება ყოველგვარ დაპირისპირებას –- პოლიტიკური დაპირისპირებისა და პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მიიჩნევს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია – მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.

სწორედ ამ განწყობით მივმართეთ გასული წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლობის დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტარებს, მთავრობის წევრებს და ამ პოზიციას ვადასტურებთ დღეს საც საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის კედლებში:

* * *

2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელია. 850 წელი სრულდება გენიალური პოეტის დაბადებიდან. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს შეძლეს დიდი პოეტის 800 წლისთავის პრაქტიკულად მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნა. ეს მართლაც, მსოფლიო დღესასწაული იყო. ჩვენ დღეს დამოუკიდებელ საქართველოში კიდევ უფრო მეტი უნდა შევძლოთ. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ დიდი მგოსნის 850 წელი გაცილებით უფრო მასშტაბური გახდეს, იუნესკომ მიიღოს გადაწყვეტილება ამის თაობაზე და ეს იუბილე აღინიშოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

სწორედ ამიტომ უნდა მოვიწვიოთ ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესი შემოდგომაზე. შოთა რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ამ დიდმა საერთაშორისო ფორუმმა უნდა შეგვაძლებინოს საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა დიდი მობილიზება, როგორც ქვეყნის შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, ასევე ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ასამაღლებლად. ამ გენიალურმა პოეტმა და მსოფლიო კონგრესმა უნდა გაგვაერთიანოს მთელ მსოფლიოში მიმობნეული საქართველოს შვილები და საქართველოს ნამდვილი მეგობრები, რომ მსოფლიომ კიდევ ერთხელ აღიდგინოს მეხსიერებაში, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო საგანძურში რუსთაველის იდეოლოგიაზე აღზრდილ ერს.

საერთო შეფასებით – დიდი პროექტია!

ჰაერივით საჭირო საქართველოსთვის და რეალურზე რეალური განსახორციელებლად.! მასშტაბებიდან გამომდინარე, საჭიროა ამ საკითხებში სახელმწიფოს სამი უმთავრესი შემადგენელის: ხალხის, ეკლესიის და მთავრობის ქმედებათა ჰარმონიზაცია.

ეს იმდენად დიდი სახელმწიფო საქმეა, სასურველია, ამ პროცესში წარმმართველი როლი შეასრულოს ხელისუფლებამ. ხოლო თუ ამაზე უარს განაცხადებს. ხელი მაინც არ შეუშალოს სხვადასხვა ბერკეტის ამოქმედებით. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ორი განმარტების გაკეთება:

პირველი – პროექტი არ საჭიროებს სახელმწიფო დაფინანსებას და მეტიც, თვითდაფინანსებადია!

მეორე – ჩვენ აღნიშნულის თაობაზე წერილობით უკვე მივწერეთ მთავრობას, პასუხი ჯერაც არ მიგვიღია...

მიგვაჩნია, რომ სასურველია პროგრამა „მომავლის საქართველო“ მომზადდეს მიმდინარე წელს, ვინაიდან, არჩევნების წელია და შემოდგომაზე მოსულმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ აღნიშნული პროგრამა ხალხის ინტერესებითაა შექმნილი და სამომავლოდ უცილობლად განსახორციელებელი.

ჩვენი პოზიცია უცვლელია: დაპირისპირებით და ზიზღით სავსე პოლიტიკური სივრცე სათნოებით და სიყვარულით უნდა შეიცვალოს, კონფრონტაცია პრინციპულობამ უნდა შეცვალოს... ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და ჰარმონიზაციის რთულ და ძნელ გზას ვირჩევთ. ამიტომ გვჭირდება ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა, საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესიც, შოთა რუსთაველიც და მისი „ვეფხისტყაოსანიც“.

მსოფლიო პოეზიის ერთი დიდი მწვერვალის, გენიალური შოთა რუსთაველის იუბილე, ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა კონგრესი, მისი სესიები საქართველოს რეგიონებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში – ჩვენი სიძლიერისა და ჩვენი ერთობის დემონსტრირებად უნდა ვაქციოთ!

გვწამს და გვჯერა: სიყვარული აღგვამაღლებს!

„ქართული ერთობის დარბაზის“ დამფუძნებლები:

ანზორ ერქომაიშვილი,
გიგა ბათიაშვილი,
თემურ გუგუშვილი,
ტარიელ ხარხელაური,
გივი თოიძე,
ომარ მხეიძე,
რომან რურუა,
არნოლდ გეგეჭკორი,
რამაზ ყურაშვილი.

დოკუმენტი მიღებულია „ქართული ერთობის დარბაზის“ შეკრებაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში.

4 მარტი, 2016 წელი.

როდის გვეყოლება და გვეყოლება კი კეთილსინდისიერი პრეზიდენტი?!

შეწყალების უფლებამოსილება და ნარკოპოლიტიკის ელემენტები

შეწყალება პრეზიდენტის ექსკლუზიური კონსტიტუციური პრეროგატივაა და გადახედვას არ საჭიროებს!!! თუმცა, არის გარკვეული პროცედურული საკითხები, რომლებიც უნდა დაიხვეწოს, რათა მეტი გამჭირვალობა და სიცხადე შეიტანოს პრეზიდენტის ქმედებაში.

შეწყალება თავისი არსით ჰუმანური აქტია, რომელიც მაშინ გამოიყენება, როცა ამა თუ იმ პირის მიმართ ხისტი და მოუქნელი კანონმდებლობის გამოყენება უსამართლობის განცდას იწვევს. „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ პირველად საქართველოში ჩაატარა კვლევა, თუ ვის და რამდენად სამართლიანად იწყალებს მოქმედი პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, მარტო ორი წლისა და 2 თვის განმავლობაში შეწყალებულია 1797 მსჯავრდებული, ანუ პროპორციულად მეტი, ვიდრე 2004-2013 წლებში. მთელი ათი წლის განმავლობაში შეწყალებულია მხოლოდ 3068 მსჯავრდებული.

განსაკუთრებით ჰუმანურია საქართველოს პრეზიდენტი ქალებისა და არასრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ (80 ქალი და 87 არასრულწლოვანი).

როგორც კვლევიდან ირკვევა, **გიორგი მარგველაშვილს ერთობ ლიბერალური მიდგომა აქვს ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ.** ორი წლის განმავლობაში შეწყალებული 1559 მსჯავრდებულიდან **ნარკოტიკული დანაშაულისთვის დაპატიმრებული 986 პირი ჰყავს შეწყალებული.** ეს არის შეწყალებულთა 62 პროცენტი. მოწოდებული ანალიზიდან ჩანს, რომ შედარებით ნაკლებად იწყალებენ იმ მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან ძალადობრივი დანაშაულის გამო, როგორიცაა, მაგალითად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და სხვა.

როგორც ცენტრის ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი ვარაუდობდა, ამ მონაცემებს შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა საქართველოს პარლამენტზე, რომელიც მარიხუანას მოხმარების დეკრიმინილიზაციის სტატუსს განიხილავდა, მაგრამ ასე არ მოხდა. **„ვინაიდან პრეზიდენტი იწყალებს ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულ პირებს, ეს შეიძლება ერთგვარი რეკომენდაციაც კი იყოს საკანონმდებლო ორგანოსთვის“,** — ამბობდა ექსპერტი. როგორც ვნახეთ, პარლამენტმა ეს მიდგომა არ გაიზიარა და კანონი მარიხუანას მოხმარების დეკრიმინილიზაციის შესახებ ჩავარდა. კანონპროექტის ინიციატორები აპირებენ, მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და ამ გზით შეეცადონ შედარებით ლიბერალური გახადონ ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა.

* * *

2005 წლიდან „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეწყალების შუამდგომლობის (თხოვნის) განხილვის ნებისმიერ სტადიაზე ან/და ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების შესახებ“, ანუ პრეზიდენტის უფლებაა პირდაპირი წესით შეწყალება. ასე, კომისიის გვერდის ავლით, შეიწყალა გიორგი მარგველაშვილმა ნაციონალი გუბერნატორი თენგიზ გუნავა, აკაკი ბობოხიძის ძმა და საკუთარი ცოლისძმა...

როგორც ერთ-ერთი მედიაწყარო ირწმუნება, მაკა ჩიჩუას ნახევარძმა მიშა მგალობლიშვილი სამჯერაა გასამართლებული, მათ შორის დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის. თავად პრეზიდენტი ამ საკითხზე მოკლე კომენტარის შემოიფარგლა და აღნიშნა: **„მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც ისეთივე ლმობიერი ვიყავი, როგორიც სხვა შემთხვევაში“.**

შეგახსენებთ, თუ რა წერია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილულ საქმეში „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ გადაწყვეტილებაში: **„სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ 2008 წლის 25 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა (მიხეილ სააკაშვილმა) მიზანშეწონილად მიიჩნია, ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადით განახევრება“.**

იურისტი თამარ ავალიანი ამბობს: **„იმის მიუხედავად, რომ შეწყალება პრეზიდენტის ექსკლუზიური კომპეტენციაა, აღნიშნულ საკითხს აუცილებლად სჭირდება საკანონმდებლო რეგლამენტაცია. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში იყო შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტებმა ისარგებლეს აღნიშნული კომპეტენციით პოლიტიკური პარტიის, თუ ოჯახის წევრების სასარგებლოდ საკმაოდ ბუნდოვანი საფუძვლებით, რამაც საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები წარმოშვა. პრეზიდენტის მიერ ამ უფლებამოსილების მიკერძოებლად გამოყენების შესახებ“.**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებაც იდენტურია. სამართლებრივი სახელმწიფო პრინციპი ავალდებულებს საქართველოს პრეზიდენტს, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს არა თვითნებურად, პირადი სურვილების გათვალისწინებით, არამედ წინასწარ ჩამოყალიბებული, ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი და ნათლად განჭვრეტადი კრიტერიუმის საფუძველზე. მართლაც, ნებისმიერ მოქალაქეს, მსჯავრდებულს უნდა შეეძლოს წინასწარ განსაზღვრა, რა შემთხვევაში, რა კონკრეტული გარემოებების გამო იქნება ის შეწყალებული.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს კახა კოჟორიძეს ამ თემაზე საკმაოდ საინტერესო მოსაზრება აქვს. **„თუკი ნორმატივებით გაიწერება, რა შემთხვევაში შეუძლია პრეზიდენტს პირის შეწყალება, ეს შეეწინააღმდეგება თავად კონსტიტუციის არსს. თანაც თუ კეთილსინდისიერი არ იქნება პრეზიდენტი, ის ბრძანებულებას მაინც შეცვლის!“**

თუკი საკითხი ასე რთულად დადგება, თქვენი აზრით, სად არის გამოსავალი? — პასუხი მარტივია, **კეთილსინდისიერი პრეზიდენტის არჩევანში, რაშიც არაერთხელ შევცდით.**

* * *

პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილების ასეთი ფართო დისკრეციით გამოყენება სხვა ქვეყნებშიც იწვევს ხოლმე აჟიოტაჟს. მაგალითად, ჩეხეთში (2003-2013 წლებში) პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსის მიერ განხორციელებული შეწყალებები, რამაც საკმაოდ დიდი კრიტიკა გამოიწვია, პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების საფუძველიც კი გახდა. შემდგომმა პრეზიდენტმა კი უარი თქვა კანონმდებლობით მინიჭებული შეწყალების აბსოლუტური და ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებაზე და აღნიშნული უფლებამოსილება იუსტიციის მინისტრს გადასცა. მისი განცხადებით, იგი მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებით განახორციელებს თავის უფლებამოსილებას (კერძოდ, პირის ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების შემთხვევაში).

თეა ბოსია

„სტუდია მაესტროს“ ახალი დირექტორი ჰყავს

საჯარო რეესტრის ცნობით, „თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 1 მარტის განჩინებით, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას და შესულია კანონიერ ძალაში, ლევან გაჩეჩილაძე სტუდია „მაესტროს“ დირექტორად დარეგისტრირდა“. რეესტრი აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

„შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 7 მარტის გადაწყვეტილებით ეთერ გადაბაძეს უარი ეთქვა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და დაკმაყოფილდა ლევან გაჩეჩილაძის 2016 წლის 9 თებერვალს წარმოდგენილი, კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში არსებული მოთხოვნა, მისი შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორად რეგისტრაციის შესახებ“.

ჟურნალისტები ლევან გაჩეჩილაძეს საკუთარ პირობებს უყენებენ

„ბვს ურს კიდევ ერთხელ განვაცხადოთ: ვრჩებით ტელეკომპანია „მაესტროზე“, ვაგრძელებთ იმ მენეჯმენტთან მუშაობას, რომელიც ჩვენთვის სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტი იყო და არის. ამასთან, სადაო 25 პროცენტის ირგვლივ სასამართლო დავის დასრულებამდე, არ ვგეგმავთ შპს „სტუდია მაესტროს“ რეგისტრირებული დირექტორის ლევან გაჩეჩილაძის განკარგულებების შესრულებას.

ვიმედოვნებთ, „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები ხელს არ შეუშლის არხის ფუნქციონირებას და არ აისახება ჟურნალისტების სამუშაო პროცესზე“, — ნათქვამია ტელეკომპანია „მაესტროს“ ჟურნალისტების განცხადებაში.

გადაბაძე გაჩეჩილაძეს ემუქრება

„მაესტროს“ დირექტორობიდან გადაყენებული მაია გადაბაძე აცხადებს, რომ საჯარო რეესტრის მიერ ლევან გაჩეჩილაძის დარეგისტრირება მისთვის მოულოდნელი იყო.

„რეესტრის გადაწყვეტილებას, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, იმიტომ, რომ ეს არის უკვე ძალიან ღია ბრძოლა ტელევიზიასთან და ძალიან დიდი უკანონობა. სამწუხაროდ, იმდენჯერ გაცრუვდა ჩემი იმედი, რომ, როგორც ჩანს, ახალი არაფერი მომხდარა. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ და შესაბამისად, დაველოდებით ქმედებებს ლევანის, ასევე ცალკე ხელისუფლების მხრიდან, რადგან ეს არ არის მეწილეებს შორის, ეს არის ხელისუფლებას და ტელევიზიას შორის დავა“, — განაცხადა გადაბაძემ და დასძინა, რომ გაჩეჩილაძის ტელევიზიაში შეჭრის შემთხვევაში, სათანადო ზომები იქნება მიღებული.

„მაესტროს“ უკვე ყოფილი დირექტორი ბაია გადაბაძე ახლად დანიშნულ ლევან გაჩეჩილაძეს მოუწოდებს შეარჩიოს ადგილი სადაც იგი ტელეკომპანიის თანამშრომლებს შეხვდება, რადგან, მისი თქმით, „მაესტროს“ და ტელევიზიის მართვას გაჩეჩილაძე მოქმედ შენობაში ვერ შეძლებს.

„თუ მას მიაჩნია, რომ მე რომელიმე თანამშრომელი ხელით მიჭირავს, რაიმე სახის ზეწოლას ვახორციელებ, ხოლო მათ გაქცევა უნდათ, მე ვთავაზობ ლევან გაჩეჩილაძეს გამოაცხადოს, სად უნდა მივიდნენ თანამშრომლები, რა შეთავაზება აქვს და საერთოდ რას სთავაზობს მათ.

მე ასევე მივმართავ „მაესტროს“ თანამშრომლებს — თუ თქვენ გაინტერესებთ ლევან გაჩეჩილაძესთან მუშაობა, თქვენ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ, გაესაუბროთ და გაარკვიოთ რას გთავაზობთ.

თქვენ იცით მე რას გთავაზობთ. მე არ გთავაზობთ განსაკუთრებულად დიდ ხელფასებს, არ გხიბლავთ არაფრით. მე თქვენ გთავაზობთ დამოუკიდებელ ტელევიზიაში მუშაობას, რომელიც არავის მიერ არ იქნება მართული. ამის შემდეგ მეცოდინება, ვაგრძელებ თუ არა თქვენთან ერთად ბრძოლას“, — განაცხადა ბაია გადაბაძემ.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ლევან გაჩეჩილაძე შპს „სტუდია მაესტროს“ დირექტორად დაარეგისტრირა. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციას თავად საჯარო რეესტრი ავრცელებს.

ასათიანი არ აპირებს გაჩეჩილაძეს „მაესტროს“ სამართავად შენობა დაუთმოს

„მაესტროს“ დირექტორად ლევან გაჩეჩილაძის დარეგისტრირებაზე ტელეკომპანიის წილის მფლობელის მაკა ასათიანის პოზიცია ჟურნალისტებს მისმა ადვოკატმა გიორგი გვენეტაძემ გააცნო. მისი თქმით, ასათიანი არ აპირებს უკანონოდ დანიშნული ლევან გაჩეჩილაძისთვის შენობის დათმობას.

„შენობა, სადაც „მაესტრო“ ფუნქციონირებს, არის შპს „ინვესტმენტის“ საკუთრებაში და ამ შენობის ადმინისტრაციული პროცესების სამართავად, მაკა ასათიანს დანიშნული ჰყავს ბაია გადაბაძე. ჩვენი თვალსაზრისით, რომელიც არის სავსებით დასაბუთებული, უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე დარეგისტრირდა ლევან გაჩეჩილაძე დირექტორად. სანამ ეს რეგისტრაცია არ შეიცვლება, მანამ ის არის შპს სტუდიას „მაესტროს“ დირექტორი, თუმცა ძალიან გვაინტერესებს სად მიდის, საიდან უნდა უხელმძღვანელოს ტელეკომპანიას და დაასახელოს მისამართი. გვაინტერესებს რა მისამართზე აპირებს განთავსებას და საიდან უნდა უხელმძღვანელოს კომპანიას, რადგან ეს შენობა არის მაკა ასათიანის საკუთრება და მისი კეთილი ნების საფუძველზე ფუნქციონირებდა „მაესტრო“ ამ შენობაში. მაკა ასათიანის პოზიციაა, რომ ის არ აპირებს უკანონოდ და უსამართლოდ მოსული დირექტორისთვის მისი საკუთრების დათმობას“, — აღნიშნა გვენეტაძემ.

პოლიტიკაში ბუტიაობა და ლანძღვა-გინება დამღუპველია!..

თანამედროვე პოლიტიკა, განსაკუთრებით საერთაშორისო, ბევრი რამით არის დამაფიქრებელი, უპირველესად იმით, რასაც აშშ-ის და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა ჰქვია. აშშ-ში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, უკვე მერამდენე წელია, პირველობას ვერავინ შეეცილება რუსეთს, როგორც აშშ-ს ნომერ პირველ მტერს, თუმცა აქაც უმნიშვნელო კორექტირება მოხდა. ბოლო გამოკითხვამ პირველ ადგილზე ჩრდილოეთ კორეა გაიყვანა, ხოლო რუსეთმა მეორეზე გადაინაცვლა.

თითქმის იდენტურია რუსეთში გამართული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, ცხადია აშშ-თან მიმართებაში. მას მხარს უკრაინა, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, სხვები უმშვენებენ.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ბარომეტრია იმ ურთულესი პოლიტიკური ვითარებისა, რომელიც ორ დიდ სახელმწიფოს, ამერიკა-რუსეთს შორის სუფევს და სერიოზული გავლენით სარგებლობს პოლიტიკურ წრეებზე. და მიუხედავად ამისა, მსოფლიოს საზოგადოება მოწმეა გასაოცარი პარადოქსისა, რასაც ადგილი აქვს ბოლო ორი კვირის განმავლობაში.

დასავლურ-რუსული მედიის მიხედვით, ეს ქვეყნები, ერთმანეთს რომ სტრატეგიულ მტრებად მოიხსენიებენ, სირიის ფრონტზე სტრატეგიულად თანამშრომლობენ საერთაშორისო საზოგადოებისთვის ისეთი საფრთხის წინააღმდეგ, როგორიც „ისლამური სახელმწიფო“, ტერორისტული ორგანიზაცია „ჯებხად ან-ნუსრა“ და სხვები არიან.

უკვე მერამდენე დღეა სირიის ფრონტიდან ჭურვების აფეთქების ნაკლები ხმა ისმის და თუ ამას იშვიათად აქვს ადგილი, უმალ ხდება ერთმანეთის საგანგებო შტაბების მიერ ინფორმაციების გაცვლა, საბრძოლო პოზიციების შეთანხმება, საჰაერო იერიშების კორექტირება. ცეცხლის შეწყვეტა ძალაშია, თუმცა ორთა შეთანხმებით ბრძოლები ტერორისტების წინააღმდეგ გრძელდება.

ვიმეორებ, სტრატეგიული მტრები (თუ შეიძლება ასე ითქვას), სტრატეგიული თანამებრძოლები არიან სირიის ფრონტზე, რაც მისასალმებელია და ჩემი აზრით, სამაგალითო ბევრისთვის, მათ შორის ჩვენთვის. პოლიტიკა მოითხოვს კორექტირებას ისე, როგორც ვითარება გიკარნახებს. გაჯიქება, ბუტიაობა მიუღებელია დიდი პოლიტიკისთვის. სიჯიუტემ გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას, ხალხს.

საქართველოსთვის „დიდი პოლიტიკა“ რუსეთთან ურთიერთობას გულისხმობს, ქვეყანასთან, რომელთანაც მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობები არსებობს, ხშირად ნეგატიურიც, მაგრამ მაინც საჭირო და აუცილებელი. ქართულმა პოლიტიკამ ბევრი იღონა მეზობლურ-მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობების გასაცუდებლად და ისეთ დონეზე დასაყვანად, რის ქვემოთ აღარაფერია. და ეს ყველაფერი ბოლო 20-25 წლის განმავლობაში განხორციელდა – რუსეთის სტრატეგიული მტრის – ამერიკის ხელშეწყობით და წახალისებით.

დღეს ხომ გეოპოლიტიკურ ჭიდილთან გვაქვს საქმე, გავლენის სფეროთა გადანაწილებასთან. ორივე შემთხვევაში არასერიოზულად გამოვიყურებით. პირველში – უმადურად, მეორეში – სხვის თამაშში მოფარფატე ბრიყვად, რომელიც აბსტრაქტულად ფიქრობს, რომ ამ თამაშიდან რაღაც სარგებელს მოიხელთებს.

25-წლიანი „პოლიტიკური მოგზაურობა“ რომ უსარგებლო გამოდგა მოტყუებული ქვეყნისა და ხალხისთვის, ფაქტია, მაგრამ წარმატებულ-სარფიანი რომ იყო და არის პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილისთვის, ესეც უდავოა. საქართველოს უგუნურმა პოლიტიკამ ჩიხში შეიყვანა რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ ეს ჩიხი მხოლოდ ქვეყანას და მის ხალხს აზიანებს და არა პოლიტიკოსებს.

ქართულ ელიტარულ პოლიტიკაში რახანია ფეხი გაიდგა თეზისმა – რაც ცუდი, მით უკეთესი, ანუ რაც უფრო ცუდი ურთიერთობა იქნება რუსეთთან, მით უფრო შეღავათის მომცემია ქართული პოლიტიკისთვის. შეღავათის „მომცემი“ ე.წ. სტრატეგიული პარტნიორია, რომელიც ქართული პოლიტიკის ხელით ებრძვის მის (აშშ) სტრატეგიულ მტერს, რუსეთს.

რუსეთმა, საბჭოეთის მემკვიდრემ, რახანია დაკარგა გავლენიანი პოზიციები ახლო აღმოსავლეთის მუდამ მოგიზგიზე რეგიონში, ობიექტური მიზეზებიდან (სსრკ-ის დაშლა) გამომდინარე, რასაც ვერ ვიტყვით აშშ-ზე. ამ ქვეყანამ, მსოფლიო პოლიტიკის ოლიმპზე მყოფმა, ერთიორად განამტკიცა საკუთარი ფუნდამენტი ბობოქარ რეგიონში და როდესაც საბჭოეთის ნანგრევებიდან წამომდგარმა რუსეთმა კვლავ გადახედა ახლო აღმოსავლეთს, შეშფოთება და გაკვირვება ვერ დამალა.

სირია განხეთქილების ვაშლი გახდა არა მარტო ამერიკა-რუსეთს შორის, არამედ აშშ-რუსეთის მოკავშირეთა შორისაც.

სირიის ფრონტზე ბოლო დღეებში განხორციელებული პოლიტიკური ნაბიჯები თავისთავად მეტყველებენ რუსული პოლიტიკის, დიპლომატიის გარკვულ წარმატებაზე, ისე, როგორც აშშ-ის პოლიტიკის, დიპლომატიის საზრიანობაზე, რაც გულისხმობს მთავარს – ამერიკული კომპრომისის სიბრძნეს.

დიახ! კომპრომისის და არა მარცხის. ბევრი თვლის, რომ რუსეთმა თავისი პირდაპირი, ღია დიპლომატიით გამოიჭირა აშშ და აიძულა, დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ხომ შეეძლო აშშ-ს, არ დაჰყოლოდა რუსეთს, გაეგრძელებინა არჩეული პოლიტიკური კურსი? ცხადია, შეეძლო, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია – ის ჩაყვა რუსეთს და ამ ნაბიჯით შეარბილა დაძაბულობა.

დიახ! გაამარტივა და არა გააბათილა, ვინაიდან გაბათილებამდე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ასე და ამრიგად, სტრატეგიული მტრები, სტრატეგიულ თანამშრომლებად იქცნენ, თუნდაც ერთ საკითხში, მაგრამ მნიშვნელოვანში – სირია რომ ჰქვია. არის თუ არა ეს მაგალითი ისეთი ქვეყნებისთვის, როგორებიცაა უკრაინა, მოლდოვა, საქართველო?

უკრაინა და მოლდოვა თავს მიხედავენ, მით უმეტეს მათ ნაკლები აქვთ გასაკეთებელი იმ დარგში, რასაც დიპლომატიური ურთიერთობები ჰქვია. საქართველოს კი საქმე თავიდან აქვს დასაწყები, ანუ 2008 წელს გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა, აღსადგენია. მაგრამ.. არის მრავალი მაგრამ, რაც ხელს უშლის საქმის კეთებას და უპირველეს ყოვლისა, მას, აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობა ჰქვია – სტრატეგიული პარტნიორობიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკამ თვით აიღო თავის თავზე.

ქართული პოლიტიკისთვის „სტრატეგიული პარტნიორის“ გულის გასახარად რუსეთთან არათუ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, არამედ, რაც გვაქვს იმის გაუარესებაც მისაღებია. გაუარესების ინიციატორებიც ისინი არიან, ვინც 2008 წელს გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობები, ვინც ახალი საუკუნის დასაწყისში შემოიღეს სავიზო რეჟიმი და შემდეგ რუსეთს დააბრალეს; ვინც უამრავ ავტოპროვოკაციას უწყობდა საკუთარ თავს და რუსეთს აბრალებდა.

მიხვდით ალბათ, ისინი „ნაცები“ არიან, მაშინ ხელისუფლებაში მყოფნი, ამჯერად ოპოზიციაში, მაშინ სახელისუფლებო რესურსების პატრონნი და მისი გამოყენებით, რუსეთთან ურთიერთკავშირების დამაქცევარნი. დღეს, ოპოზიციაში მყოფნი და იმავე ანტირუსული პოლიტიკის მქადაგებელნი. რა სისულელეები არ გაისმის მათი პირიდან – საქართველოში რუსული სატელევიზიო მაუწყებლობის დახურვა, ჟენევისა და პრაღის ფორმატების გაუქმება, რუსეთთან არავითარი კავშირი, მათ შორის იქ ქართველთა სიმღერისა და ცეკვის აკრძალვა და სხვა მრავალი – აშკარად მიუღებელი, „ნაცისტური“ იდეოლოგიით გაჟღენთილი

გადავრჩით, თუმცა, მსგავსი განწყობა არ ამოძირკვულა – აქა-იქ, დროდადრო თავს იჩენს. ზოგიერთი ე.წ. პოლიტიკოსი ზუსტად ან დაახლოებით იმავეს იმეორებს რუსეთთან დამოკიდებულებაში. ზოგიც თავგადაკლულად აცხადებს – არავითარი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, ვიდრე ის არ გააუქმებს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას; არ გაიყვანს ამ ყოფილი ავტონომიებიდან სამხედრო ბაზებს და არ დახურავს საელჩოებს.

საქართველოს პოლიტიკა ვერ გრძნობს, რომ მსგავსი მოთხოვნა – ულტიმატუმია. ულტიმატუმი კი მხოლოდ იმის პრეროგატივაა, ვინც ომს იგებს ან მოიგო, ვინც ძლიერია! საქართველოს ომი არ მოუგია. უფრო მეტიც, მას არავითარი შანსი არა აქვს, ოდესმე რუსეთთან ომის მოგების. რუსეთთან ომის მოგების ერთაერთი შანსი – დიპლომატიური მაგიდაა და ისიც მაშინ, როდესაც ისეთი კვალიფიციური დიპლომატები გყავს, რომლებიც დაარწმუნებს ოპონენტს, რომ მის მიერ 2008 წელს გადადგმული ნაბიჯი აგრესიაა.

საქართველოს მსგავსი მომლაპარაკებელი არ ჰყავს, ვინაიდან ასეთს, ორთა ისტორიის ცოდნის, განვლილი ცხოვრებისეული გამოცდილების „ტვირთი“ აწვეს მხრებზე.

სააკაშვილის ნებისმიერი საგარეო საქმეთა მინისტრით დაწყებული, ივანიშვილის მინისტრებით დამთავრებული, ყველა რაღაც გაუგებარ „წითელ ხაზებზე“ ლაყბობს - „წითელი ხაზების“ გადაკვეთამდე გვექნება რუსეთთან ურთიერთობაო, ანუ ქართული ნიახურის, „ბორჯომის“, ღვინის რუსეთის ბაზარზე შეტანაზე და არა ისეთ სერიოზულ საკითხზე, როგორიც დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაა.

საქართველოს ისეთი პოლიტიკა ესაჭიროება, როგორიც აშშ-მა გადადგა სირიასთან მიმართებაში – კონსტრუქციული, პრაგმატული, გონიერი. გონიერებაა, როდესაც ჩიხურ მდგომარეობაში შესული, გამოსავალს პოულობ და ნაცვლად ვითარების დამძიმებისა, შემსუბუქებისკენ მიდიხარ. გონიერებაა, როდესაც გამოსავლის გზას ეძებ და შეთავაზებულ წინადადებას ბანზე არ აგდებ.

რახანია რუსეთის ხელისუფლება აცხადებს – მზად ვარ საქართველოსთან ვილაპარაკოო. რა ხანია, საქართველოს პოლიტიკური ელიტა ფეხებზე იკიდებს აგრესორის საყურადღებო მოწოდებას.

და ისევ სირიის მაგალითი. აშშ და რუსეთი ასადთან დაკავშირებით მტკიცედ დგანან საკუთარ პოზიციაზე. რუსეთი თვლის, რომ ომის დამთავრების შემდეგ სირიელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ასადის ბედი, მანამდე ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის წასვლა ქაოსს გამოიწვევს. აშშ კი თვლის, რომ ასადი დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს, რადგანაც მისი ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში არ არის. უდავოდ, ურთულესი საკითხია, მაგრამ მხარეებმა ოსტატურად აუარეს მას გვერდი და სხვა საკითხებში მიაღწიეს შეთანხმებას. არის თუ არა ეს ფაქტი სამაგალითო საქართველოსთვის? რა თქმა უნდა, არის!

დიახ! საქართველომ უნდა გადადგას ნაბიჯი მოლაპარაკებისკნ. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ მთელ რიგ საკითხებში, რომლებიც არ იწვევს ეჭვს და საერთო დოკუმენტში უნდა აღვნიშნოთ ჩვენი პოზიცია დაკარგულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. რუსული მხარე თავისას იტყვის, მაგრამ ეს ხელს

არ შეუშლის დოკუმენტის ხელმოწერას და ურთიერთობათა ახალ ფაზაში გადაყვანას. ის, რაზეც დღეს ვდგავართ, ბერწიაუშთამომავლო, რაც მხოლოდ იმათ აწყობთ, ვინც რუსეთს სამარადისო მტრად განსაზღვრავს. რუსეთის სამარადისო მტრობა კი უმძიმესი იქნება საქართველოსთვის.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ირანელი კავკასიოლოგი: საქართველოს განვითარებას ორი რამ უშლის ხელს - აშშ და რუსეთი

ირანელი კავკასიოლოგის, თავრიზის უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომლის აჰმად ფარშბაფიანის განცხადებით, საბჭოთა კავშირის

დაშლის შემდეგ საქართველომ ნელ-ნელა დაიწყო ფეხზე დადგომა, მაგრამ მის განვითარებას ორი რამ უშლის ხელს: აშშ და რუსეთი.

სწორედ აშშ-ის გავლენას უკავშირებს ფარშბაფიანი საქართველოს მიერ 2013 წელს ირანისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას. ასევე, აცხადებს, რომ სამი წლის წინათ საქართველოსა და ირანს შორის უფრო ღრმა კავშირები იყო.

„აშშ ცდილობს, რომ საქართველოზე გავლენა მოიპოვოს, განვითარებაში დახმარებას ჰპირდება. მეორე მხრივ, იმავეს ცდილობს რუსეთიც და სწორედ ეს აფერხებს საქართველოს განვითარებას“, – განაცხადა აჰმად ფარშბაფიანმა.

კითხვაზე, რა უნდა გააკეთოს ამ ვითარებაში საქართველომ, იგი ირანის მაგალითზე მიუთითებს.

„აშშ ამბობს, რომ მას თითქოს ეშინია, რომ ირანი ატომურ ბომბს ქმნის. ეს ტყუილია. რეალურად კი მას აშინებს ირანის სამეცნიერო მიღწევები და განვითარება. ჩვენი სულიერი ლიდერის ჰომეინის დევიზი იყო – არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არამედ პირდაპირ, ანუ არც დასალეთი და არც აღმოსავლეთი, არამედ მხოლოდ ისლამური გზა. იმისთვის, რომ საქართველო განვითარდეს, პირველ რიგში, მან უნდა გამოიყენოს საკუთარი ცოცხალი რესურსი, ეს არის განათლებული ახალგაზრდობა.

საქართველომ უნდა გაიგოს, რომ არც აშშ-დან, არც რუსეთიდან და არც ევროპიდან მისთვის ხეირი არ არის და უნდა ითანამშრომლოს ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც საქართველოსგან სარგებელს არ მოელიან“. ასეთი ქვეყნების რიგში ასახელებს ფარშბაფიანი ირანსაც.

„ჩვენი მესიჯი მსოფლიოსთვის ის არის, რომ ყველამ მიხედოს თავის ქვეყანას. ყველა ქვეყნის სტუნდეტი, ახალგაზრდა, მასწავლებელი, პროფესიონალი მიხედავს საკუთარ სამშობლოს. ქვეყნები ერთმანეთის საქმეებში არ უნდა ჩაერიონ“, – განაცხადა აჰმად ფარშბაფიანმა.

მოამზადა
სალომე ჯანდიერმა

რომის პაპმა და რუსეთის პატრიარქმა ერთნაირწმენიანთა ქორწინებები დაგმეს

მსოფლიო პრესა ისტორიულს უწოდებს რომის პაპისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის შეხვედრას, რომელიც 12 თებერვალს, ჰავანას საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა. რომის პაპმა და რუსეთის პატრიარქმა ერთობლივ 30-პუნქტიან დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომელშიც მხარეები მთელ რიგ პრობლემებთან ერთად ერთნაირწმენიანთა ქორწინების ტრადიციულთან გათანაბრების გამო წუხილს გამოთქვამენ.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის თავისუფალ და ერთგულ სიყვარულს ეფუძნება.

„თანაცხოვრების სხვა ფორმები დღეს ამგვარ კავშირს უთანაბრდება, რაც ბიბლიური ტრადიციით ნაკურთხი არ არის“, — ნათქვმია დეკლარაციაში, რომელიც ორი ეკლესიის წინამძღოლის მიერ გაფორმდა. რომის პაპი და რუსეთის პატრიარქი წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ საზოგადოების ცნობიერებიდან ამოშლილია ბიბლიური ტრადიცია მამობისა და დედობის, როგორც კაცისა და ქალის ქორწინების გამოხატვის საშუალება.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის ანტი-გეი კანონის მთავარი მხარდამჭერია. პატრიარქმა კირილემ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალობა ცოდვაა. 2013 წელს მან დასავლეთში ქორწინების თანასწორობა დაგმო და მას აპოკალიფსის სიმპტომი უწოდა.

პაპმა ფრანცისკემ კი იტალიის სენატში სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ საკითხის განხილვის პარალელურად, ლგბტ ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის იდეა გააკრიტიკა.

„არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ ღმერთს ოჯახის რაიმე სხვა ტიპის არსებობა სურს“, — აღნიშნა პაპმა.

ამჟამად ერთნაირსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ ანგლიკანური და რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები გამოდიან. კანონის მიღებას ასევე ეწინააღმდეგებიან კონსერვატორი დეპუტატებიც და ამტკიცებენ, რომ მსგავსი ნაბიჯი საფრთხეს უქმნის ქორწინებაზე ჩამოყალიბებულ ტრადიციულ შეხედულებებს .

თეონა რამაზაშვილი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„პუტინური მითებია, რომ ევროკავშირი დაშლის პირასაა“

„ერთადერთი მსოფლიო ლიდერი, ვინც ევროპის კრიზისით სარგებლობს, რუსეთის პრეზიდენტია“, — ასეთია მსოფლიო ლიდერების შეფასება, რომლებიც შეშფოთებას გამოთქვამენ ევროკავშირის საემიგრაციო კრიზისისა და ბრიტანეთის ევროკავშირიდან შესაძლო გასვლაზე. თუმცა, ერთადერთი, ვინც ამ საკითხზე დუმილს ინარჩუნებს, ვლადიმერ პუტინია. „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე აცხადებს, რომ კრემლი შექმნილი ვითარებით ხელებს იხსნის იმისათვის, რომ თავისი ჰეგემონისტური გეგმები განახორციელოს მის მეზობელ სახელმწიფოებში. for.ge გიორგი მუჩაიძეს ესაუბრა.

— ძალიან ბევრს საუბრობენ ევროკავშირის დაშლის საფრთხეზე, თუმცა ექსპერტები ფიქრობენ, რომ ყველაზე მეტად ეს აწყობს რუსეთს, რადგან ერთადერთი მსოფლიო ლიდერი, ვინც ევროპის კრიზისით სარგებლობს, პუტინია. რა სარგებლობას იღებს რუსეთი ევროპაში შექმნილი კრიზისით?

— მოგეხსენებათ, რომ სირიაში პუტინის სერიოზულმა სამხედრო ჩარევამ გამოიწვია კონფლიქტის ესკალაცია, დეხმარა სირიის დიქტატორს, რომელმაც უკვე ასი ათასობით თავისი მოსახლეობა, ძირითადად კი სამოქალაქო ნაწილი დახოცა. ამ ესკალაციის შედეგად იზრდება სწორედ ლტოლვილების ნაკადები, რომლებიც სერიოზულ პრობლემას უქმნის ევროკავშირს და განხეთქილებას იწვევს სხვადასხვა სპექტრის პოლიტიკურ ძალებში, მაღლდება საზოგადოების უკმაყოფილებაც. ამ ვითარებიდან კრემლი ქულებსაც იწერს და ხელებს იხსნის იმისათვის, რომ თავისი ჰეგემონისტური გეგმები განახორციელოს მის მეზობელ სახელმწიფოებში.

ის სანქციები, რომელიც ამერიკამ და ევროკავშირმა დაუწესა რუსეთის მიმართ, ცალსახად ხაზგასმა იყო იმისა, რომ თუ რუსეთი გააგრძელებს კიდევ სხვა ტერიტორიების ანექსიას, დასავლეთი გაცილებით მეტის გაკეთებისთვის არის მზად. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესებშია ევროკავშირის დასუსტება.

— ევროკავშირის დასუსტების შემთხვევაში რუსეთი გაცილებით ადვილად შეძლებს დაამყაროს კონტროლი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე?

— რა თქმა უნდა, თუ ევროკავშირს თავისი შიდა პრობლემები ექნება, თუ ამერიკას ექნება პრობლემები, მათ შორის სირიელი ლტოლვილების გადმოდინებასთან დაკავშირებით, დასავლეთს შეექმნება პრობლემები, პირველ რიგში — ევროკავშირში, ან ახლო აღმოსავლეთში და სერიოზული ესკალაცია მოხდება სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის სირიაში, ერაყში, თუ გამწვავდება ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი, ეს ყველაფერი პუტინის წისქვილზე დაასხამს წყალს.

თუ მოხდება სიტუაციის ესკალაცია, შესუსტდება ევროკავშირის შესაბამისი მოქმედებები დამატებითი საფრთხეების და რისკების შექმნის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს პუტინს იმაში, რომ დასავლეთმა მეტი რესურსი და ყურადღება გადაიტანოს ამ საკითხებზე და მას ხელი გაეხსნას თავისი აგრესიის განსახორციელებლად და გასაგრძელებლად პოსტსაბჭოთა სივრცეზე, მათ შორის საქართველოში და უკრაინაში.

— ბელგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი „გარდიანთან“ საუბარში აცხადებს, რომ პუტინისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია არასოლიდარული და დანაწევრებული ევროპა კიდევ უფრო ადვილად და მეტად გახდეს დამოკიდებული რუსეთის ენერგორესურსებზე. ერთია, რას აკეთებს პუტინი და ვხედავთ, რომ დაუზოგავად ხარჯავს ფულს პროპაგანდისთვის, მაგრამ ამის აღსაკვეთად რას აკეთებს თვითონ ევროკავშირი? ჩვენ ვხედავთ, რომ ევროკავშირშიც არ არის ერთიანი პოზიცია, პრაქტიკულად დაშლის პირას დგას ევროკავშირი.

— ეს პუტინური მითებია, რომ ევროკავშირი დაშლის პირასაა. არ უარვყოფ, რომ გარკვეული სერიოზული პრობლემები არსებობს. ასეთი პრობლემები ევროკავშირის დაარსების დღიდან არსებობდა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ევროკავშირი თავად წყვეტდა ასეთ პრობლემებს. არ მგონია, დღეს ისე იყოს საქმე, რომ ევროკავშირის დაშლას ველოდოთ. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საერთო ღირებულებებზე. მისი ყველა წევრისათვის გაცილებით მეტი სარგებლის მომტანია, ვიდრე პრობლემების.

არსებობს გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ნეგატიურ განწყობას გამოხატავენ და არის ქვეყნები, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, სადაც ევროსკეპტიკური ტალღა საკმაოდ მომძლავრდა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პუტინი ცდილობს ხელი მოითბოს და როგორც ყოველთვის, ახლაც გაათამაშოს იმპერიული რუსეთის საყვარელი ხაზი — გათიშე და იბატონე. თავისი პოლიტიკით ეცადოს, რომ ეს გამყოფი ხაზები კიდევ უფრო გაამყაროს და იგივე თავისი ენერგეტიკული ბერკეტები შესთავაზოს ბევრ ქვეყნებს გაზის მიწოდების უფრო პრივილეგიური პირობებით. აქამდე ეს ხრიკი არ გამოსდიოდა და იმედი მაქვს, რომ მომავალშიც არ გამოუვა.

რუსეთის, როგორც საფრთხის უფრო მეტად აღქმა ხდება, ვიდრე აქამდე. თუ აქამდე მიიჩნევდნენ, რომ რუსეთი პარტნიორი იყო და მარტო ნატოს მოწინააღმდეგე იყო, ახლა ძალიან კარგად გაიგო ევროკავშირმა, რომ რუსეთი თანაბრად არის როგორც ნატოს მოწინააღმდეგე, ასევე ევროკავშირის და ნებისმიერი ჯანსაღი დემოკრატიული ერთობის, რომელიც რუსეთს თავისი პოლიტიკის გატარების საშუალებას არ მისცემს.

— ბრიტანეთის გასვლის შემთხვევაშიც?

— ამ თემით სპეკულირებას არ დავიწყებ. ბრიტანეთის გასვლის საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი, ამაზე რეფერენდუმი უნდა შედგეს. ვერ ვიტყვით, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილია. ბრიტანეთის გასვლის შემდეგ ევროკავშირი არსებობას არ წყვეტს. ბრიტანეთს ყოველთვის განსხვავებული პოზიცია ჰქონდა ევროკავშირთან მიმართებაში. იცით, რომ ბრიტანეთი ევროზონაშიც არ არის. რა თქმა უნდა, კარგი არ იქნება ბრიტანეთის გასვლა, მაგრამ ტრაგედიას ვერ ვხედავ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი. ბრიტანეთის მოქმედი ხელისუფლება მომხრეა, რომ დარჩეს ევროკავშირში.

— და ბოლოს, ანკარამ ალიანსის გემებს, თურქეთის ტერიტორიულ წყლებში - ეგეოსის ზღვაში შესვლის უფლება არ მისცა. თურქეთის ხელისუფლება ნატო-ს საზღვაო მეთაურის ანკარაში ჩასვლას ითხოვს, რათა განსაზღვროს ის ტერიტორია, სადაც ალიანსის გემები განლაგდებიან. თურქეთის ეს გადაწყვეტილება რუსეთის ფაქტორით არის ნაკარნახევი?

— ვფიქრობ, რომ ეს საკითხი თურქეთსა და ნატოს შორის კონსულტაციების საშუალებით ცივილიზებულად გადაწყდება. მოგეხსენებათ არსებობს მონტრეს კონვენცია, რომელიც არეგულირებს საზღვაო მიმოსვლას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეში, მათ შორის სამხედრო გემების გადაადგილებას ამ სრუტეში. იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ეს საკითხი დარეგულირდება. ნატოსთან საუბარი, თურქეთს, როგორც მის ერთ-ერთ სტაბილურ და ერთგულ წევრს, არ უჭირს. ვფიქრობ, რომ სულ მალე შესაბამისი კონსულტაციების განხორციელების შედეგად, კონკრეტულ შეთანხმებებს მიაღწევენ.

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე

ვირუსმა-გამომძალველმა KERANGER-V პირველად დააზიანა კომპიუტერები APPLE

აქამდე ვირუსი ძირითადად აზიანებდა კომპიუტერებს ოპერაციული სისტემის Windows ot Microsft. მასის მოწყობილობანი პირველად გახდა ვირუს-გამომძალველის მსხვერპლი გასულ უქმე დღეებში. კერძოდ რამდენი კომპიუტერი დაზიანდა, არ იტყობინებიან.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დაემუქრა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას პრევენციული ბირთვული დარტყმით

ამის შესახებ არის საუბარი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის განცხადებაში. ფხენიანის უკმაყოფილება გამოიწვია ამერიკა-სამხრეთ კორეის სამხედრო სწავლებებმა, რომლებმაც ახლა აიღეს სტარტი. კომიტეტის განცხადებაში მათ „ბირთვული ომის აშკარა წვრთნები“ უწოდა.

თურქეთის პოლიციამ რეზინის ტყვიები დაუშინა ქალებს, რომლებიც შეიკრიბნენ მიტინგზე სტამბოლში

რამდენიმე ასეული ქალი შეიკრიბა მოედანზე სტამბოლის ცენტრში, რათა ყურადღება მიეპყროთ ქვეყანაში სქესობრივი არათანაბარუფლებიანობის პრობლემისადმი. აქციაზე პოლიციამ უკიდურესი სიმკაცრე გამოიჩინა.

უკრაინელი კინოს შემქმნელები იგანჯებიან ანგბირუსული შავი სიისაგან და ხელისუფლებას სასამართლოებით ემუქრებიან

ფილმები და სერიალები შავი სიის პირთა მონაწილეობით უკრაინაში აკრძალულია ჩვენებისათვის. ეს სია მუდმივად იცვლება და შეუძლებელია წინასწარ გამოიცნო, თუ რომელი პროდუქტი მოხვდება უკრაინის უშიშროების საბჭოს დარტყმის ქვეშ.

მარკო რუბიომ გააანადგურა ტრამპი და კრუზი პრაიმერიზზე პუერტო-რიკოში

სენატორმა ფლორიდიდან მარკო რუბიომ დაუმატა ინტრიგები კანდიდატების ბრძოლას რესპუბლიკური პარტიიდან, მოიპოვა გამანადგურებელი გამარჯვება წინასწარ არჩევნებზე პუერტო-რიკოში. რუბიოსათვის შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯია 15 მარტის არჩევნები ფლორიდაში, სადაც ბევრი ლათინოამერიკელი ცხოვრობს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: აშშ სირიაში აშენებს ორ ავიაბაზას და ამყარებს თანამშრომლობას თურქეთთან

ჟურნალისტების მონაცემებით, ამერიკელებმა თითქმის უკვე დაამთავრეს ერთი ავიაბაზის მშენებლობა სირიის ჩრდილოეთში და დაიწყეს მეორის მშენებლობა. ამას გარდა, დაზვერვის ცენტრალურმა სამმართველომ და თურქეთის ეროვნულმა სადაზვერვო ორგანიზაციამ შექმნეს საიდუმლო საკოორდინაციო ცენტრი სირიასთან საზღვარზე.

გერმანული მარკეტინგული ინტერნეტგამოცემა „Go Asia Magazin“ საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს სათაურით „გავიცნოთ კავკასია“ . ჟურნალი საქართველოს ისტორიას მიმოიხილავს და ქვეყნის კულტურისა და ღირსშესანიშნაობების შესახებ მოუთხრობს.

გერმანული გამოცემა ტურისტებს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს და აღნიშნავს, რომ ვისაც უნდა ევროპული ყაიდის ქვეყანა აღმავლობის პერიოდში შეიგრძნოს, ვინც ეძებს მრავალფეროვნებას და თან ცხოვრების ტემპის შენელების სურვილიც აქვს, ის საქართველოში თავს კარგად იგრძნობს.

გზად საქართველოში

ევროპის უშორეს კიდესთან, კავკასიისა და შავი ზღვის მოსაზღვრედ, მდებარეობს საქართველო – ქვეყანა სუნთქვაშემკვრელი ბუნებითა და უძველესი, ათასწლოვანი კულტურული ფესვებით. სხვადასხვა რეგიონი გასაოცარი მრავალფეროვნებით წარმოუდგება დამთვალიერებლებს – თანამედროვე დედაქალაქ თბილისიდან, პატარა პოსტსაბჭოთა ქალაქების გავლით, ისტორიულ სოფლებამდე: ვინც ახალ შთაბეჭდილებებს ეძებს, იგი მას აქ, საქართველოში იპოვის.

ქვეყანა დიდი ისტორიით

საქართველო მეორე ქვეყანა იყო სომხეთის შემდეგ, რომლის მმართველმაც IV საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ქვეყანა კავკასიაში უძველესი დროიდან არსებობს და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. თანამედროვე საქართველომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად მოიპოვა დამოუკიდებლობა. თუმცა, უახლეს ისტორიასაც უამრავი მღელვარება ახლდა, რამაც პიკს მიაღწია 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებისას. ამას შედეგად მოჰყვა ქვეყნის ნაწილების – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის – არაღიარებული გამოყოფა.

მიუხედავად ამისა, დიდია სურვილი, რომ ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური იყოს. საბჭოთა კავშირის დროს საქართველო ითვლებოდა სსრკ-ის ერთ-ერთ ყველაზე აყვავებულ და მდიდარ რეგიონად, ამავე დროს ტურიზმის ცენტრად. ეს საქმე დღესაც გრძელდება – ქართველები ფანტასტიკურად სტუმართმოყვარე ხალხია, ქვეყანა მდიდარია შთამბეჭდავი კულტურითა და მადისაღმძვრელი კერძებით.

თბილისის გაცნობა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მხოლოდ რამდენიმე საათის საფრენით არის დაშორებული გერმანიის აეროპორტებს. ბილეთების დროული დაჯავშნის შემთხვევაში, კავკასიაში ჩასვლა იაფად არის შესაძლებელი, პირდაპირი რეისით ან სხვა აღმოსავლეთ ევროპის დედაქალაქში მცირეხნიანი გაჩერებით. დანიშნულების ადგილზე ჩასული, ტაქსით ნახევარ საათზე ნაკლებ დროში უკვე დედაქალაქის ცენტრში ხარ.

ვისაც თბილისში გადაადგილება უნდა, ტაქსის იძახებს. ზოგიერთი მარშრუტის დაძლევა ფეხითაც კარგად შეიძლება, მაგრამ თუ მდინარე მტკვრის გადაკვეთა გახდა საჭირო, მაშინ ტაქსი საუკეთესო არჩევანია. ამასთანავე, ერთი რამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ვინც საქართველოში ავტომობილით მგზავრობს, კარგი ნერვები უნდა ჰქონდეს, სულერთია, ვინ იქნება ეს, მძღოლი თუ უბრალო მგზავრი.

ზოგიერთი მარშრუტის გავლა სხვა გზითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ნამდვილად ღირს ქალაქის საბაგიროთი – თბილისის ფუნიკულიორით გასეირნება, რომელიც 1905 წელს გაიხსნა მთაწმინდაზე, იქვეა პატარა დასასვენებელი პარკიც. სახლების სახურავების ზემოდან, „ეშმაკის ბორბლიდან“ დედაქალაქის განსაკუთრებული ხედი იშლება. ასევე ღირს საბაგიროთი მგზავრობა რიყის პარკიდან მაღლა, ნარიყალას ციხემდე, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოს უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრეა. 2012 წლიდან შესაძლებელია როგორც III საუკუნის ნანგრევებთან, ისე „ქართვლის დედის“ შთამბეჭდავ მონუმენტურ ქანდაკებასთან მოხვედრა. აქედანაც იშლება თბილისის საუკეთესო ხედები დღისითა და ღამით.

ტრანსპორტს არა აქვს მნიშვნელობა, ვისაც საქართველოს დედაქალაქის გაცნობა უნდა, ის ბევრ ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლს აღმოაჩენს. აქ შეხვდებით შუა საუკუნეების ეკლესიებს, ქალაქის ძველ ისტორიულ უბნებს, საბჭოთა პერიოდის რამდენიმე შენობას შუშისა და ფოლადის თანამედროვე ნაგებობებამდე – თბილისში ეპოქების შეგრძნებაა შესაძლებელი. ტრადიციული თუ თანამედროვე რესტორნები გვთავაზობენ მრავალფეროვან სამზარეულოს, მაღაზიებში კი ყველანაირი არჩევანია.

ღვინის აკვანი

ის, ვინც საქართველოს სტუმრობისას მხოლოდ თბილისით შემოიფარგლება, ბევრს დაკარგავს. იქვე, დედაქალაქის მახლობლად მდებარეობს, მაგალითად, ღვინის მეურნეობა „შატო მუხრანი“. ღვინო საქართველოში?! დიახ! ქვეყანა ჯერ კიდევ კომუნისტური დროიდან ითვლებოდა საბჭოთა კავშირის ღვინის მარნად. ღვინის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველო მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. კლიმატური და გეოლოგიური პირობები იდეალურია, აქ უკვე ათასწლეულებია ვენახების გაშენებას მისდევენ.

სსრკ-ის დაშლის შემდეგაც შეინარჩუნა ღვინომ საქართველოს მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონლის სტატუსი, რომლის მთავარი მომხმარებელი რუსეთია. თუმცა, 2008 წელს, რუსული ემბარგოს შემდეგ, ქვეყანა გასაღების ახალ ბაზრებს ეძებს, მათ შორის, დასავლეთ ევროპაშიც.

ავტობანით თითქმის 40 წუთის სავალზე, თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ნამდვილი საგანძური: „შატო მუხრანის“ ღვინის მეურნეობა. პატარა სასახლე შთამბეჭდავი კამაროვანი სარდაფებით, რომელიც 1873 წლიდან არსებობს, გარშემორტყმულია ფრანგული სტილის პარკით. ეს არის რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული ღვინის მეურნეობის ცენტრი. 2007 წლიდან აქ უახლესი სტანდარტების მიხედვით აწარმოებენ უმაღლესი ხარისხის ღვინოებს, რომლებსაც შეუძლიათ, კონკურენცია გაუწიონ ასეთივე ხარისხის ევროპულ ღვინოებს.

ღირსშესანიშნაობების თვალსაზრისითაც შეუძლია საქართველოს კონკურენცია გაუწიოს

ვინც ახალ შთაბეჭდილებებს ეძებს, ევროპული ყაიდის საქართველოში იპოვის

სხვა ქვეყნებს! ქვეყნის გაცნობა შესაძლებელია როგორც დაქირავებული, ისე საზოგადოებრივი ტრანსპორტით. თუმცა, უკანასკნელი ვარიანტისთვის, საკმარისი დრო და დიდი მოთმინებაა საჭირო.

მცხეთა: ანტიკური დედაქალაქი

თბილისიდან ჩრდილოეთით, სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს მცხეთა. ის საქართველოს უძველესი დედაქალაქია, უფრო ზუსტად კი, ყოფილი იბერიის სამეფოს დედაქალაქი და მდებარეობს პირდაპირ აბრეშუმის გზაზე. აქ ბევრი ღირსშესანიშნაობა იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

შუა საუკუნეების სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, რომელიც მე-11 საუკუნით თარიღდება, სრულიად განსაკუთრებული ფენომენია. გრძნობ ეკლესიისა და თავდაცვითი ნაგებობის ნაზავს, და ეს მართლაც ასეა. იმ დროს, როცა შიგნით საოცრად ლამაზი ფრესკები და ბარელიეფები ბიბლიურ პერსონაჟებს ეთაყვანებიან, საკათედრო ტაძარი გარშემორტყმულია ხუთმეტრიანი სიმაღლის ქვისა და აგურის კედლებით, რომელთა ბოლო სართული აღჭურვილია ქონგურებითა და გასასვლელებით, რომლებიც თავდაცვის მიზნით გამოიყენებოდა.

უფლისციხე: უძველესი დასახლებული ადგილი

საქართველო კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი დასახლების ადგილია. იმისათვის, რომ თავად დარწმუნდეთ ამაში, უმჯობესია, ეწვიოთ კლდეში ნაკვეთ ქალაქს – უფლისციხეს. ის არის საქართველოში უძველესი ნასახლარი. კომპლექსის ცენტრალური ნაწილი სავარაუდოდ უკვე ძვ. წ. მე-16-15 საუკუნეებში გამოიყენებოდა საცხოვრებლად. მართლაც შთამბეჭდავი ადგილია!

რასაკვირველია, მრავალმა საუკუნემ კვალი დაატყო მას – ნგრევა, მიწისძვრები, ძარცვა და ბუნებრივი დაშლა ნათლად ატყვია კლდეში ნაკვეთ ქალაქს. ის ტერიტორია, რომლის დათვალიერებაც შესაძლებელია და რომელიც 1957 წელს არქეოლოგებმა გაასუფთავეს, არის შიდა ქალაქი, თავდაპირველი დასახლებული ტერიტორიის რეალური ფართობის მხოლოდ მცირე ნაწილი. მიუხედავად ამისა, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს წარსულის ეს უტყვი მოწმე, რომელმაც 3000 წელზე მეტ ხანს გაუძლო ისტორიის ქარტეხილებს.

სათაფლია: დინოზავრის ნაკვალევი და კარსტული მღვიმეები

სათაფლიის ნაკრძალი დასავლეთ საქართველოში ამავე სახელობის მთაზე, ჩამქრალ ვულკანზე მდებარეობს. მილიონი წლის წინათ ამ მთასთან ზღვის ყურე იყო და ამ უძველეს დროში აქ დინოზავრები ბინადრობდნენ. მათი ნაკვალევის ნახვა დღესაც შეიძლება. ამიტომ ნაკრძალის ბევრ აბრაზე ასეთ წარწერას შეხვდებით: „იურული პერიოდის პარკი“.

ნაკრძალთან ერთად, სათაფლიის დიდ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს კარსტული მღვიმეები. აქ შესაძლებელია უზარმაზარი სტალაგმიტებისა და სტალაქტიტების ნახვა. ამ ყველაფრის გულია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე.წ. გულის დარბაზი, სადაც არის გულის ფორმის უზარმაზარი ქვა. ითვლება, რომ ის 30 მილიონი წლისაა.

ქუთაისი: მონასტრებით გარშემორტყმული ქალაქი

ქუთაისი საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქია. 2012 წლიდან აქ საქართველოს პარლამენტი მდებარეობს. ქალაქის ღირსშენიშნაობებს განეკუთვნება შუა საუკუნეების იერსახე, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე საკათედრო ტაძრები და ახალაშენებული პარლამენტის შენობა. შთამბეჭდავია, ასევე, ქუთაისის გარშემო არსებული ეკლესია-მონასტრები.

მოწამეთას მონასტერი, რომელიც მომლოცველთა საყვარელი ადგილია, ულამაზეს ციცაბო ფერდობზე მდებარეობს. სახელწოდება „მოწამეების მონასტერს“ ნიშნავს. სამონასტრო კომპლექსს სხვებთან ერთად მიეკუთვნება ასევე სამლოცველო და სამრეკლო. როგორც ამბობენ, აქ დასვენებული წმინდა ნაწილები სასწაულებს ახდენენ, ამისათვის კი საჭიროა ვიწრო გასასვლელის ჩოქვით გავლა.

კიდევ ერთი საოცარი მონასტერია გელათი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია და იმავდროულად იუნესკოს კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდის ძლევამოსილი გუმბათოვანი ეკლესია მოზაიკითა და ფრესკებით.

ცოტა უჩვეულო და თავგადასავლებით სავსე აღმოჩნდა მატარებლით მგზავრობა ქუთაისიდან უკან, დედაქალაქში – დახლოებით 240 კმ-ის გასავლელად მატარებელს ექვსი საათი დასჭირდა.

ქართული სამზარეულო და სუფრის ბრაწლიცა

მდიდარი ქართული სამზარეულო თითოეული სტუმრის მეხსიერებაში კარგ მოგონებად რჩება. ქვეყნის რესტორნების მრავალფეროვანი მენიუები ყოველ საღამოს გვეპატიჟება სხვადასხვა კულინარიული შედევრების დასაგემოვნებლად.

თუ რამდენიმე მეგობარი ერთად მოიყრის თავს, არსებობს კარგი ქართული ტრადიცია სუფრაზე გრძელი სადღეგრძელოების თქმისა, რომლებიც ძირითადად ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, როგორიცაა თავისუფლება, ოჯახი, ჯანმრთელობა და ტრადიციები. ამ ყველაფრის შთაგონების წყარო, რასაკვირველია, ფანტასტიკური ქართული ღვინოა.

მოკლედ: ვისაც უნდა, ევროპული ყაიდის ქვეყანა აღმავლობის პერიოდში შეიგრძნოს, ვინც ეძებს მრავალფეროვნებას და თან ცხოვრების ტემპის შენელების სურვილიც აქვს, ის საქართველოში თავს კარგად იგრძნობს. ამ ქვეყანაში ნამდვილად ღირს მოგზაურობა!

http://goasia.travelstory.io/den-kaukasus-erleben/

განცხადება

2016 წლის 29 აპრილს, 14 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1) გაიმართება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდ. ნატანებზე „ნატანები 2 ჰესის“ (სიმძლავრით 9,45 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ნატანებზე, სოფ. ვაკიჯვრის მიდამოებში დერივაციული ტიპის არარეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- გიგა დვალიშვილი. ტელ: 599274020; E-mail: gdvalishvili@energysolutions.ge;
- გიორგი ბუალავა. ტელ: 595287560; E-mail: goga@gamma.ge;

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანები 2“-ის ადმინისტრაცია

◎ ძიუდო

ღვინიაშვილის პან-ამერიკული „ოქრო“

პერუს დედაქალაქ ლიმაში დამთავრდა პან-ამერიკის ღია თასის გათამაშება ძიუდოში. ქართველთაგან ამ შეჯიბრებაში ერთადერთი ფალავანი მონაწილეობდა – 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ეროვნული ნაკრების წევრი ბექა ღვინიაშვილი. მან ყველა მეტოქეს სძლია, მათ შორის ფინალში – ესტონელ გრიგორი მინასკინს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამ გამარჯვებით ბექამ რიოს ოლიმპიადის სალიცენზიო რეიტინგი 100 ქულით გაიუმჯობესა. საგულისხმოა, რომ ჩვენი ქვეყნის ძიუდოისტთა ნაკრებს 2016 წლის ოლიმპიადის ლიცენზია მხოლოდ ამ წონაში აქვს მოსაპოვებული.

ღვინიაშვილი პერუდან არგენტინაში გადაინაცვლებს და მომდევნო შაბათ-კვირას ბუენოს-აირესში მსგავს ტურნირზე მოსინჯავს ძალებს.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ზონაში დასარჩენად იბრძოლებენ

საძართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები შარშან დევისის თასის გათამაშების ევრო-აფრიკული ზონის მესამე ჯგუფიდან მეორეში აღზევდა, გასულ უქმეებზე კი თბილისის ახალ სპორტის სასახლეში ზედა ეშელონის პლეი ოფში მოსახვედრად დანიის გუნდს დაუპირისპირდა. მოთამაშეთა რეიტინგების გათვალისწინებით, ფავორიტად მასპინძლებს მიიჩნევდნენ, მაგრამ პირველივე პაექრობამ წარმატების იმედები გადაგვიწურა: მსოფლიოს კლასიფიკაციით 118-ე ადგილზე მყოფი 24 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილი დანიელთა 19 წლის ურეიტინგო კრისტიან სიგსგაარდთან ვერაფერს გახდა: მართალია, პირველი სეტი 7:6 მოიგო, მაგრამ შემდეგ სამი პარტია დათმო – 1:6, 4:6, 4:6 და სტუმრები დაწინაურდნენ.

მეორე შეხვედრაში გიორგი ცივაძე (857-ე) წყვილებში 2012 წლის უიმბლდონის ჩემპიონ ფრედერიკ ნილსენთან (431-ე) არკვევდა ურთიერთობას. სამწუხაროდ, მან გამოცდილ მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირა – 0:3 (6:7, 0:6, 1:6) დამარცხდა. ჩვენებმა ვერც წყვილთა პაექრობაში იყოჩაღეს – ფრედერიკ ნილსენმა და თომას კრომანმა ნიკოლოზ ბასილაშვილსა და გიორგი ცივაძეს სძლიეს – 7:6, 6:1, 6:2. მომდევნო ორმა შეხვედრამ აზრი დაკარგა, თუმცა, მასპინძლებმა ისინიც პირწმინდად წააგეს: გიორგი ჯავახიშვილმა (1105-ე) ბენჯამინ ჰანესტადთან (1452-ე) პირველი ხელი 1:6 დათმო. მეორეში სტუმარი 3:0 რომ დაწინაურდა, ჯავახიშვილმა ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. ბოლო პაექრობაში კრისტიან სიგსგაარდმა ირაკლი მეტრეველს (2085-ე) აჯობა – 6:1, 6:1. დანიის გუნდმა საქართველოს ნაკრები მშრალი ანგარიშით – 5:0 დაამარცხა, რითაც პირველ ჯგუფში დასაწინაურებელი ორი საგზურიდან ერთ-ერთის მოპოვების შანსი შეინარჩუნა, ჩვენებმა კი მეორე ზონაში დასარჩენად უნდა იზრუნონ. 15-17 ივლისს თბილისში ზიმბაბვეს ნაკრებს ვუმასპინძლებთ.

მეორე ზონის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ფინეთი-ზიმბაბვე 4:1, ბელარუსი-ეგვიპტე 3:1, ლატვია-მონაკო 3:2, თურქეთი-ბულგარეთი 3:2, სამხრეთი აფრიკა-ლუქსემბურგი 5:0, ლიტვა-ნორვეგია 3:2, ბოსნია-ტუნისი 3:1.

ლაშა დიდია

◎ მშვილდოსნობა

„სამაია“ – მესამეზე

ანკარაში დამთავრდა მშვილდოსანთა მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც უძლიერესი ჩუბინები მონაწილეობდნენ. გუნდურ ტურნირში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს ქალთა ნაკრებმა (მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქრისტინე ესებუა, პირველი ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონი ხათუნა ნარიმანიძე და იულია ლობჟანიძე, მთავარი მწვრთნელი – თამაზ ფუტკარაძე), რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ჩვენი სამეული მერვედფინალში ისვენებდა, მეოთხედფინალში კი იტალიას უწევდა მეტოქეობას. აპენინელებს ამჯერად არ ჰყავდათ უპირობო ლიდერი, მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი პირადსა და გუნდურში ნატალია ვალეევა, მაგრამ მათს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ელენა ტონეტა და გვანდელინა სარტორი, თანაც ზაფხულის ოლიმპიურ დისტანციებზე მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული იტალია ნებისმიერი შემადგენლობით ძლიერია. თუმცა, ქართველმა ჩუბინებმა აპენინელებს შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე სძლიეს, რიოს ლიცენზია მოიპოვეს, ისინი კი უსაგზუროდ დატოვეს.

ანკარაში თავიდან მეტოქე დაწინაურდა – 2:0 (58:56, 60:56), მომდევნო ორი სერია ქართველებმა მოიგეს – 60:58, 55:54 და საერთო ანგარიშში წონასწორობა აღადგინეს – 4:4. დამატებით სერიაშიც წარმატებას ჩვენებმა მიაღწიეს – 30:20 და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც არც ისე ძლიერ პოლონელთა გუნდთან დამარცხდნენ – 2:6. მეორე ნახევარფინალში იაპონელებმა რუსებს აჯობეს – 5:1. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში თამაზ ფუტკარაძის შეგირდებმა ჩრდილოელი მეზობლები დაჯაბნეს – 6:2 (58:57, 54:56, 60:47, 58:56), ხოლო ფინალში იაპონელებმა პოლონელები დაამარცხეს.

ქართველი მშვილდოსნები ახლა რიოს ოლიმპიადისთვის მოემზადებიან.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: ქართველი მშვილდოსნები რუსებთან გამარჯვებას ზეიმობენ.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ევროვნული ჩემპიონატის II წრე ეს-ესაა დაიწყო, თუმცა, ტურნირს ინტრიგა უკვე მოუკვდა – გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი თბილისის „დინამო“ 12 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ გორის „დილას“ და ძნელი წარმოსადგენია, ასეთი სოლიდური უპირატესობა ფინიშამდე გაფლანგოს.

„თეთრ-ლურჯებმა“ მორიგ მსხვერპლს მარტვილის „მერანს“ პირველივე ტაიმში მოუმთავრეს საქმე 2:0 (ამისულაშვილი, ქვილითაია) მაშინ, როცა ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა „ცხინვალთან“ ძვირფასი ქულები დაკარგეს – 0:0.

საგულისხმოა, რომ რამდენიმე დღის წინათ ეროვნული ნაკრების დაცვის ერთ-ერთი ბურჯი ამისულაშვილი „ლელოს“ ტრადიციული ნომინაციის – თვის საუკეთესო მოთამაშის – გამარჯვებული გახდა და მანაც ეს აღიარება ზუსტი დარტყმით აღნიშნა, ხოლო მეორე გოლის ავტორმა ქვილითაიამ ჩემპიონატში მე-16 გატანილი ბურთი მიითვალა.

* * *

იტალია. „ატალანტა“ – „იუვენტუსი“ 0:2, „ნაპოლი“ – „კიევო“ 3:1, „რომა“ – „ფიორენტინა“ 4:1, „სასუოლო“ – „მილანი“ 2:0, „ინტერი“ – „პალერმო“ 3:1.

ესპანეთი. „ეიბარი “ – „ბარსელონა“ 0:4, „რეალი“ – „სელტა“ 7:1, „ვალენსია“ – „ატლეტიკო“ 1:3.

ინგლისი. „ტოტენჰემი“ – „არსენალი“ 2:2, „უოტფორდი“ – „ლესტერი“ 0:1, „ვესტ ბრომვიჩი“ – „მანჩესტერი“ 1:0.

გერმანია. „ბორუსია“ – „ბაიერნი“ 0:0, „ჰამბურგი“ – „ჰერტა“ 2:0, „აუგსბურგი“ – „ლევერკუზენი“ 3:3.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ერთი ქულის ფასი

რაც უფრო ახლოვდება სუპერლიგის რეგულარული სეზონის ფინიში, მით უფრო მძაფრდება ბრძოლა პლეი-ოფის 4 საგზურისთვის.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უშუალო კონკურენტების – „სოხუმისა“ და „მგზავრების“ პირადი შეხვედრის შედეგს, რომელშიც მოვლენები დრამატულად განვითარდა და ზღვისპირელთა გამარჯვებით დასრულდა – 65:64. გადამწყვეტი ორქულიანი ლტოლვილთა კლუბის ამერიკელმა ლეგიონერმა მილერმა ძირითადი დროის ამოწურვამდე 5 წამით ადრე ჩააგდო.

რაც შეეხება ლიდერს, თბილისის „დინამომ“ კარგად ისარგებლა ყოფილი „ყოჩის“ „ბათუმის“ საშინაო მარცხით „ქუთაისთან“, „ოლიმპს“ 71:65 სძლია და გათამაშების ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურდა.

ვთბ გაერთიანებული ლიგა. „ვითა“ (თბილისი) – „ენისეი“ (კრასნოიარსკი) 72:85.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

დაგვაფინანსეთ და გაგახარებთ!

მევლუდ მელაძე ცნობილი მრბოლი და ქართული მოტოსპორტის ცნობილი პრომოუტერია. სპორტული კარიერა 10 წლისამ ჭიდაობით დაიწყო: 1989 წელს სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, ამავე სახეობაში 1991 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მსოფლიოს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა, ევროპის თასებზე კი ორჯერ მესამე იყო. საავტომობილო სპორტში 2001 წლიდან ჩაება. 2002, 2008, 2009, 2010 წლებში საქართველოს ჩემპიონი გახდა ტურისტული მანქანებით რბოლაში, 2005 წელს ევროპის რალის „აღმოსავლეთის თასი“ მოიგო, ორჯერ მეორე ადგილზე გავიდა, 2011 წელს „შავი ზღვის თასი“ დაიმსახურა, ხოლო 2014-2015 წლების საქართველოს ჩემპიონია „ფორმულა ალფაში“. ამჟამად საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

მასთან ინტერვიუ რალიზე საუბრით დავიწყეთ.

– რალი ავტოსპორტის ერთ-ერთი სახეობაა, – გვითხრა მან. - ამიტომ არ არის მართალი, ჟურნალისტები ავტოსპორტს რალისთან რომ აიგივებენ. ჩვენთან ყველაზე განვითარებულია წრიული რბოლა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი საუკეთესო ავტოდრომიც გვაქვს, სადაც წრიული რბოლები იმართება და არა რალი. რალისთვის გამოიყენება ტყეში ჩვეულებრივი მოხმარების გზები. ამ სახეობაში ცოტა გვიჭირს. რაც შეეხება მთლიანად ავტოსპორტს, ამ ეტაპისთვის სპორტის ეს კოლორიტული სახეობა ურიგო მდგომარეობაში არ არის. რალიში წლების წინათ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის ერთი ეტაპიც გადავლახეთ, მაგრამ მერე უფრო წრიული რბოლა განვავითარეთ, რადგან სანახაობრივად ეს უფრო მიმზიდველია, თანაც რალიში ევროპული საზომები ცოტა სხვაგვარადაა – ისინი თანამედროვე ავტომობილებს იყენებენ, ჩვენ კი ღარიბი ქვეყანა ვართ და მათ ვერ გამოვედევნებით.

– ჩვენთან ძირითადად ვინ არის ამ სპორტით დაინტერესებული?

– ავტორბოლა უფრო მამაკაცური სპორტია, მაგრამ ბოლო დროს მასში აქტიურად ჩაერთვნენ ქალებიც. მთელი მსოფლიოს ტენდენცია ხომ იქით მიდის, ქალები მამაკაცებს უნდა გაუთანაბრდნენ. როგორც მძლეოსნურ სახეობებში, აქაც იყო მცდელობა, მანდილოსნებისთვის ცალკე ჩემპიონატი ჩაეტარებინათ. ჩვენთან, საქართველოში, რამდენიმე ქალმა უკვე სცადა ბედი ავტოსპორტში და არც თუ ისე ურიგოდ. კონკურენტუნარიანები იყვნენ, თუმცა, წარმატებულ მამაკაცებთან პაექრობა გაუჭირდათ. ეს ბუნებრივიცაა, ამიტომ ჩვენც ვეცდებით, მომავალი წლიდან ცალკე ჩავატაროთ ქალთა ჩემპიონატი. უკეთ მომზადების მიზნით გარკვეულ ტესტირებებს ჩავუტარებთ.

– რა რჩევებს მისცემდით ავტომოყვარულებს?

– ჩვენთან რატომღაც ყველას ჰგონია, რომ ავტომობილს იდეალურად მართავს. ვერ იპოვით ადამიანს, რომელიც იტყვის, ახალბედა ვარო. ისე, ცოდნის გადასამოწმებლად გვაქვს შესაძლებლობა, ავტოდრომზე საკუთარი შესაძლებლობებიც გავსინჯოთ და ავტომობილიც, გვეცოდინება, სად გადის ზღვარი. ჩვენ ხომ რეალურად არ ვიცით, რა ხდება, როცა სველ და მშრალ საფარზე გავდივართ. ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიგებთ, როდესაც ავტომობილი მართვას დაკარგავს, რაც არცთუ იშვიათად კატასტროფით მთავრდება. სანამ უფსკრულში აღმოვჩნდებით, მანამ უნდა შევამოწმოთ საკუთარი შესაძლებლობები.

– თქვენ და თქვენი კოლეგები ხშირად მონაწილეობთ შეჯიბრებებში. დაფინანსება თუ გაქვთ?

– სამწუხაროდ, დაფინანსება ძალიან მწირია. არადა, შესანიშნავი სპორტსმენები გვყავს. მართო ის რად ღირს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასპორტო კლუბ **MIA FORCE**-ს წევრმა დათა ქაჯაიამ ჯერ ევროპის თასი მოიგო, შარშან კი ძარიან ავტომობილებში ევროპის ჩემპიონატზე (ETCC) პროფესიულ TC2T კლასში იასპარეზა, სეზონის ექვს ეტაპზე 12-დან 9 რბოლა მოიგო, 149 ქულა მოაგროვა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა – უახლოეს მდევარს 49 ქულით გაუსწრო. იგი პირველი ქართველი მრბოლია, რომელიც FIA-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) მიერ ორგანიზებული სერიის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. სასაცილო დაფინანსება გვაქვს, ისეთი, ფედერაციის ოფისსაც რომ ვერ შევინახავთ. სახელმწიფო ცოტას მაინც რომ მოიხედავდეს ჩვენკენ, თუნდაც სპორტსმენების საერთაშორისო შეჯიბრებებზე გასაშვებ თანხას რომ მოგვცემდნენ, მნიშვნელოვანი ტურნირებიდან უმედლოდ არ დავბრუნდებით.

ესაუბრა
პაატა ჯოხაძე

სურათებზე: მევლუდ მელაძე და რომან ლებედევი; დათა ქაჯაია.

◎ ძალოსნობა

უმედლოდ არავინ დარჩენილა

საძართველოს ექვსი ათლეტი (მწვრთნელები – ზურაბ ანთაური და ბეჟან ჭიჭინაძე) მონაწილეობდა ბურსაში (თურქეთი) გამართულ კადეტ ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირში. ჩვენმა სპორტსმენებმა ერთი ოქროს და ხუთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. 94 კილოგრამ წონით კატეგორიაში ირაკლი ჩხეიძემ ორჭიდში 322 (142+180) კილო მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გურამ გიორბელიძეს (56 კგ) – 183 (81+102), არჩილ მალაყმაძეს (62) – 227 (107+120), ბეგლარ სოლომონიძეს (69) – 232 (105+127), ნოდარ კაკაბაძეს (77) – 251 +114=137) და თორნიკე ტაბატაძეს (+94) – 243 (106+137) ბრინჯაოს მედლები ერგოთ.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა. კვარცხლბეკის პირველი-მეორე საფეხურები, შესაბამისად, თურქებმა და ბულგარელებმა გაინაწილეს.

თამაზ პატარაია

სანთელი

ღირსეული მეოცესაუკუნელი

აკადემიკოსი გივი ინწკირველი – 90



დღეს თუ რამდენადმე ღონივრად გამოიყურება საქართველოში იურიდიული მეცნიერება, ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს გივი ინწკირველს, რომელმაც იურისტთა არაერთი თაობა აღუზარდა თავის ქვეყანას (იგი ჯერ იყო და 1952-1966 წლებში, ხოლო შემდეგ 1989-1998 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი). აქ ნამდვილად ძნელია ყველა იმ რესპუბლიკური, საკავშირო თუ მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოთვლა, რომელთა წევრიც იყო ეს ჭეშმარიტად მეცნიერად დაბადებული და ღირსეული მეოცესაუკუნელი ქართველი, რომლის სახელსაც ყველა მოწიწებით წარმოთქვამდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

დღეს, 8 მარტს, ეს დიდებული ადამიანი 90 წლისა შესრულდებოდა. მე, ალბათ, ერთადერთი მამაკაცი ვარ ქალთა დღეს დაბადებულიო, ხუმრობდა ხოლმე ბატონი გივი თავის დაბადების დღეზე შეკრებილ მეგობართა წრეში.

სხვათა შორის, როცა ერთ-ერთმა ახალმა ხელისუფლებამ 8 მარტი საქართველოში აკრძალა როგორც ქალთა საერთაშორისო დღე, აკადემიკოსმა გივი ინწკირველმა, როგორც იტყვიან, მთელი სამყარო შეძრა და – აიძულა ის ხელისუფლება, რომ 8 მარტი ისევ ქალთა ერთ-ერთ ულამაზეს გაზაფხულის დღესასწაულად დარჩენილიყო.

იმედია, ამ თარიღს უფრო ფართოდ გამოეხმაურებიან ჩვენი საზოგადოება და, კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ისეთ დიდ მამულიშვილებს, როგორიც აკადემიკოსი გივი ინწკირველია, დავიწყება არ უწერიათ.

თენგიზ ქავთარაძე

◎ ვერნისაჟი

მოქმე ხალხთა შემოქმედებითი ერთობა

ძალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ქართველ და აზერბაიჯანელ შემოქმედთა დიდებული გამოფენა გაიხსნა გუშინ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. ოთხი ათეული მხატვრის ასზე მეტი ნამუშევრის საზოგადოებრიობისთვის სამსჯავროზე გამოტანის ინიციატორები და ორგანიზატორები ერთობლივად არიან მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი და ფიროსმანის სახელობის საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაცია.

ჭეშმარიტად საგაზაფხულო განწყობის შემქმნელი გამოფენა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობისადმია მიძღვნილი.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ფიროსმანის სახელობის საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაციის მოღვაწეობა, რომელიც არსებობის ორ წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე მისი თაოსნობით გამოფენები მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრაზილიაში, პოლონეთში, რუსეთში. ამჟამად კი 245. ფერწერული ტილო და 700-მდე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში ჩიკაგოშია (აშშ) გამოფენილი. ორიოდე თვეში კი ეს ექსპონატები ვენეციის მუდმივმოქმედი გამოფენის მნახველების წინაშე წარსდგება.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გახსნილ გამოფენაზე, რომელიც 10 მარტამდე გასტანს, წარმოდგენილია ფერწერული ტილოები, ჭედური ხელოვნების, ასევე ხეზე კვეთის ნიმუშები, მცირე ზომის ქანდაკებები, ფარდაგები, გამოყენებითი სახვითი ხელოვნების სხვა ნამუშევრები.

გამოფენის საზეიმო გახსნაზე, რომელსაც უამრავი სტუმარი ეწვია, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე **მირიან ოსიტაშვილი,** მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის დირექტორი **ლეილა ალიევა,** ფიროსმანის სახელობის საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაციის პრეზიდენტი **ჯემალ გოგიშვილი,** საორგანიზაციო საბჭოს თავმჯდომარე, მოქანდაკე **თამარ ასანიშვილი-კუჭავა,** სხვები.

საზეიმო ცერემონიის დასასრულს საპატიო სიგელები გადაეცა ქართველ და აზერბაიჯანელ შემოქმედთა ჯგუფს.

დალი ხუნდაძე
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაგრძნობას უცხადებენ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური თანაგრძნობას უცხადებს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება თანაუგრძნობს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან ელიაძე ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ მამუკა კვიტაშვილსა და ქალბატონ ხათუნა ბზიავას მამისა და მამამთილის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

კახა კუპრავა ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

შოთა დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

გია ჯღარკავა ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლადო ქორჩილავა ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ბატონ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

სპარტაკ ქობულია, მარინა კანდელაკი, რუსლან რუსია თანაუგრძნობენ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელს მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ კალანდაძე, გურამ გუნავა სამძიმარს უცხადებენ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელს მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნანა (ნანული) გუნია ოჯახით სამძიმარს უცხადებს მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

შალვა და ლევან მგალობლიშვილები სამძიმარს უცხადებენ მამუკა კვიტაშვილს მამის

ზაურ კვიტაშვილის

გარდაცვალების გამო.

ძმები ზვიად, ნუგზარ მანიები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი ვლადიმერის ასული მანია

დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 12 III, გამოსვენება 15 სთ. კიკვიძის ქ. №10.

რეკლამა **მაჩაბლის ქ. №7.**
293-37-87

თემურ გერსამია ოჯახით სამძიმარს უცხადებს თემურ დოლიძეს მამის

ოთარ დოლიძის

გარდაცვალების გამო.

თამაზ ცინცაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს თემურ დოლიძეს მამის

ოთარ დოლიძის

გარდაცვალების გამო.

◎ საინტერესო იდეა

თბილისი-პარიზი-ნიუ-იორკი & 130/240

მშვიდობისა და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბ „LLL“-ის პრეზიდენტი, ქუთაისელი ბესიკ ადამია 3 საინტერესო იდეით გამოდის!

პირველი: თბილისის მთავრობასა და დედაქალაქის მერს, ბ-ნ დავით ნარმანიას, მიმდინარე წლის 26 მაისისათვის თბილისში, თავისუფლების მოედნის ცენტრში არსებულ წრეზე, მსოფლიოს მრავალ ენებზე სიტყვა „თავისუფლების“ დაწერის იდეას ვთავაზობ (საქპატენტი №6380,16/102015). ვთვლი, ეს იქნება დასტური, რომ ჩვენი ქვეყანა პატივს სცემს თავისუფლებისათვის მებრძოლ ყველა ერს!

მეორე: იმედია აშშ-ის ადმინისტრაცია და მისი საელჩო საქართველოში, კერძოდ ბ-ნი იან კელი (რომელთაც უკვე წერილობით მივმართე), მხარს დაუჭერენ ნიუ-იორკში თავისუფლების ქანდაკებასთან ჩემს იდეა-აქციას 130/240, წელს 4 ივლისს წავიყვანო კავკასიელები და დავანახო მსოფლიოს ჩვენი სწრაფვა რეალური თავისუფლებისკენ, მოგეხსენებათ, რომ წელს 130 წელი ხდება აშშ-ში ფრანგების ნაჩუქარი თავისუფლების ქანდაკების აღმართვიდან და 4 ივლისს, 240 წელი დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებიდან!

მესამე: 10 წელზე მეტია, რაც ვიბრძვი რომ პარიზის „მშვიდობის“ კედელზე 49 ენის გვერდით დაეწეროს მშვიდობა ქართულ, აზერბაიჯანულ და კავკასიურ ენებზე(სომხურად წერია), ამისათვის პარიზს 4 ჯერ ვესტუმრე, პარიზის მერიიდან და ევროკავშირიდან მხარდაჭერის წერილითაც მიპასუხეს.ეხლა, 28 თებერვალს გაზეთ „Le Parisien“ ინტერნეტ გამოცემამ გააშუქა ამ მონუმენტის ავტორის, ქ-ნ კლარა ჰალტერის მიმართვა მსოფლიოს, რომ 75000 ევროთი დაეხმარონ ეიფელის წინ მდგომი მონუმენტის აღდგენისათვის. მივმართავ საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებს, პოლიტიკურ ლიდერებსა და ორივე ქვეყნის ცნობილ ბიზნესმენებს, ფინანსურად დავეხმაროთ ქ-ნ კლარას, რომელიც თავის მხრივ რესტავრირებულ მონუმენტზე,თუგინდ ერთ ხაზზე დააწერს „მშვიდობას“ კავკასიურ ენებზეც. ვიმედოვნებ, რომ ამ მშვიდობის მონუმენტთან, მომავალში მოხდება მსოფლიოს კონფლიქტური ქვეყნების, ასევე კავკასიელთა დიდი შერიგება, ვთვლი 57000 ევრო ძალიან მცირეა იმ ხარჯებთან შედარებით, რაც დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომებს ხმარდება, დაინტერესებულ პირებს კომუნიკაციისათვის ვთავაზობ ჩემს ფეისბუქს !

(მობილ: 00995571405878).

ბესიკ ადამია

გამოიწერეთ:
6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მილიარდერთა 2016 წლის რეიტინგი

Forbes-ი უკვე 30 წელია, აქვეყნებს მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანთა ყოველწლიურ შემაჯამებელ რეიტინგს. წელს ტრადიცია დაირღვა და ზრდის ნაცვლად სიაში მილიარდერთა რაოდენობა შემცირდა – შემაჯამებელ რეიტინგში 1810 მილიარდერი მოხვდა (16-ით ნაკლები შარშანდელთან შედარებით).

რეიტინგში შესულ მილიარდერთა ჯამური კაპიტალი 6.48 ტრილიონი დოლარია ($570 მილიარდით ნაკლები, ვიდრე 2015 წელს). შემცირდა ასევე მილიარდერთა კაპიტალის საშუალო მაჩვენებელი – $3.6 მილიარდი ($300 მილიონით ნაკლები, შარშანდელთან შედარებით).

Forbes-ის მილიარდერთა 2016 წლის რეიტინგში კიდევ რამდენიმე საინტერესო ცვლილებაა:

2016 წელს მსოფლიოს 198 ახალი მილიარდერი ჰყავს.

წელს 221-მა მილიარდერმა დაკარგა თავისი ადგილი სიაში.

29 მილიარდერი გარდაიცვალა.

892 მილიარდერი წელს უფრო „ღარიბია“, ვიდრე შარშან.

ზედიზედ მესამე წელია, ბილ გეიტსი სიის სათავეშია. მართალია, მისი კაპიტალი $4.9 მილიარდით შემცირდა, $75 მილიარდით ის მაინც ლიდერობს. საერთოდ, გეიტსი უკანასკნელი 22 წლის მანძილზე მე-17-ჯერ არის პლანეტის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგის სათავეში. ამანსიო ორტეგამ მეოთხედან მეორეზე გადაინაცვლა, უორენ ბაფეტი კვლავ მესამეა, ხოლო კარლოს სლიმ ჰელუ მეორედან მეოთხეზე ჩამოქვეითდა – მექსიკელმა მაგნატმა ერთი წლის განმავლობაში $27.1 დაკარგა.

მილიარდერებს შორის საუკეთესო წელი მარკ ცუკერბერგს ჰქონდა – 31 წლის „ფეისბუქელი“ $11.2 მილიარდით გამდიდრდა და მე-16-დან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა. ცუკერბერგი და ჯეფ ბეზოსი პირველად მოხვდნენ ყოველწლიური რეიტინგის ათეულში.

საქართველოდან რეიტნგში კვლავ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი მოხვდა. $4.8 მილიარდით ის 298-ე ადგილზეა ($5.2 მილიარდი და 291-ე ადგილი 2015 წელს).

მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ათეული ასე გამოიყურება:

1. ბილ გეიტსი – $75 მილიარდი
2. ამანსიო ორტეგა – $67 მილიარდი
3. უორენ ბაფეტი – $60.8 მილიარდი
4. კარლოს სლიმ ჰელუ – $50 მილიარდი
5. ჯეფ ბეზოსი – $45.2 მილიარდი
6. მარკ ცუკერბერგი – $44.6 მილიარდი
7. ლარი ელისონი – $43.6 მილიარდი
8. მაიკლ ბლუმბერგი – $40 მილიარდი
9. ჩარლზ კოხი – $39.6 მილიარდი
10. დევიდ კოხი – $39.6 მილიარდი

Forbes-ის მილიარდერთა 2016 წლის სრული რეიტინგი იხილეთ ბმულზე:
http://www.forbes.com/billionaires/list/

მოამზადა
თეონა რამაზაშვილმა

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 10 მარტს

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– მარო, რას იზამ, თუ დაინახავ, რომ სხვა ქალს ვკოცნი? – ეკითხება მიხო ცოლს.

– რა უნდა ვქნა, ქაა... როგორც ერთგული ცოლი, ყოველდღე გინახულებ ხოლმე ტრავმატოლოგიურში.

* * *

– ეს ქვეითად მოსიარულე გადამრევს. ვიღაც გიჟია! უკვე 10 წუთია, მირბის ჩვენი მანქანის წინ. რა გავაკეთო?

– რა და, ნასტენკა, სცადე ტროტუარიდან გზაზე გადასვლა.

– გააღეთ, პოლიციაა?

– ვინ ოხერმა ჩაგკეტათ მანდ?

* * *

– დაასრულეთ ჩემი პორტრეტის ხატვა?

– დიახ, აი, ინებეთ.

– კი, მაგრამ აქ არაფერი არ ხატია და „დებილი“ აწერია!

– მე მხატვარი ვარ და ასე ვხედავ.

* * *

ძმარი ოთახში შემოვარდება და ყვირის:

– ყველაფერი ვიცი. სად არის ის?

– არ ვიცი.

– სად არის? – ახლა სიდედრს ეკითხება.

– არ ვიცი.

– შვილო, დამეხმარე დედაშენის საყვარლის მოძებნაში!

ბავშვმა საწოლქვეშ შეიხედა:

– ბორის ბიძია, ხომ არ იცით, სად არის დედაჩემის საყვარელი?

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!